პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 143 (18685) ოთხშაბათი, 22 ივნისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ექღვნება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს

## შეხვედრა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტში

...წმიდად ინახავს ჩვენი სახელოვანი წინამორბედების ხსოვნას, რომლებიც საფუძველს უყრიდნენ და ამტკიცებდნენ რუსი და ქართველი ხალხების ძმობას, მომავალ იუბილეს უძღვნის თავის მნიშვნელოვან მიღწევებს. მთელი მზადება მიმდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 ...

...რესპუბლიკის ეკონომიკური, კულტურული, მეცნიერული კავშირურთიერთობა, ამხანაგმა ვ. ვ. გრიშინმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ამ კონტაქტების ურთიერთგამამდიდრებელ ხასიათს.

საქართველოს სსრ დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართვე-...



## ოსტატები მიდიან ოსტატებთან

**ქმნიდნენ** დღესასწაულს — ეს მათი პროფესიაა. მაშინაც კი, როცა ვიცით, რომ დღესასწაული დიდი გარჯა-ჯაფის ნაყოფია, მაინც ძნელი წარმოსადგენია, თუ რაოდენ დიდი შრომაა ჩაქსოვილი...

შეხვედრები გამართეს საქართველოს სსრ და რუსეთის სფს რესპუბლიკის მხატვრებმა, კომპოზიტორებმა, მწერლებმა, კინემატოგრაფისტებმა. და ბოლოს, ეს ნიშნავს, რომ კულტურის ოსტა-...

...საზეიმო კონცერტის მაღალი ნოტით დაიწყო, თანდათანობით სამუშაო ხასიათს იძენს. ეს ნიშნავს, რომ ისინი სულ უფრო უახლოვდებიან იმ საქმეს, რომლისთვისაც, კაცმა რომ თქვას, ჩაფიქრებული იყო სწორედ ეს დღეები. ეს ნიშნავს, რომ ისინი მომმე რესპუბლიკის კულტურის ოსტატები იწყებენ საქმიან დიალოგს, მართავენ შეხვედრებს თავიანთი „ამქრული" პროფესიული ინტერესების მიხედვით. მაგალითად, 21 ივლისს საქმიანი...

...მოსკოვსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში მოკავშირე რესპუბლიკების ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები უკვე მეთექვსმეტე წელია იმართება. წარმოაჩენენ რა უფრო სრული, კონცენტრირებული სახით ეროვნული კულტურების უმაღლეს მიღწევებს, ისინი განამტკიცებენ ხელოვნების ოსტატთა კონტაქტებს.

გრძელდება, არ წყდება დღესასწაული. ყველაფერი რაც აღთქმულია რუსეთის სფს რესპუბლიკაში საქართველოს სს რესპუ-...

...ლოვნების დღეების აფიშით, სრულდება. ფილმ „კუკარაჩას" პრემიერით გაიხსნა კინოთეატრ „მოსკოვში" კინოსტუდია „ქართული ფილმის" მხატვრული სურათების ჩვენება, მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში ლიანა ისაკაძემ სოლო შეასრულა საქართველოს სსრ სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტში, ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზის სცენაზე გამოვიდნენ საქართველოს ცეკვის აკადემიური ანსამბლის, საქართ-...

...ანსამბლის, ანსამბლ „რუსთავის" კოლექტივები, საქართველოს კვარტეტმა კონცერტი გამართა მოსკოვის კონსერვატორიის მცირე დარბაზში, კინოსაკონცერტო დარბაზ „ოქტიაბრში" კი ესტრადის მოყვარულნი მხურვალედ მიესალმნენ ნანი ბრეგვაძესა და ვახტანგ კიკაბიძეს, ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლებს „ორერასა" და „75-ს". და ბოლოს, მოსკოვის მხატვართა სახლის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვ-...

...ქანდაკება, გრაფიკა, პლაკატი).

საქინფორმის სპეც. კორ.

**სურათებზე:** მოსკოვი. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავი მონუმენტი; რუსეთის სფს რესპუბლიკაში საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილენი ყვავილებით ამკობენ შოთა რუსთაველის ძეგლს ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩაზე მოსკოვში.

ა. რუხაძის ფოტო. (საქინფორმი).



## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პორტუგალიის კომუნისტური პარტიის

## დელეგაციათა მოლაპარაკება

**ლისაბონი, 21 ივნისი.** (საქ-დესი). დღეს აქ დაიწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პორტუგალიის კომუნისტური პარტიის დელეგაციათა მოლაპარაკება. მოლაპარაკების დროს ...

...ლიის კომუნისტური პარტიის დელეგაციას — პორტუგალიის კომპარტიის გენერალური მდივანი ა. კუნიალი.

იმავე დღეს ე. ა. შევარდნაძე ...

...ერთობის შემდგომი განვითარების საკითხებს, აგრეთვე საერთაშორისო ვითარების პრობლემებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას მოლაპარაკებაზე მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, პორტუგა-...

...შორის ბოლო ინიციატივას — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას, რომ საბჭოთა მთავრობამ დაევალოს მიმართოს სხვა ბირთვული სახელმწიფოების მთავრობებს წინადადებით, რათა მათ ერთდროულად გაყინონ ამ ქვეყნებში არსებული ყველა ბირთვული შეიარაღება, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი თვალსაზრისით.

## სტარტს იღებს შრომითი სემესტრი

**უკვე** მეორე წელია, სტუდენტთა საკავშირო სამშენებლო რაზმების ცენტრალური შტაბის დადგენილებით ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები შრომით სემესტრს ატარებენ კომის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში. შარშან ქალაქ ვორკუტაში წარმატებით იმუშავა 320-კაციანმა რაზმმა „ექვამ". წელს კი სტუდენტთა რაზმების სამშენებლო ობიექტები რესპუბლიკის დედაქალაქში, სიქტივკარში განლაგდება.

— როგორია თქვენი წლევანდელი ...

...ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

სტუდენტები დიდი ენთუზიაზმით მოელიან წლევანდელ შრომით სემესტრს. მოვამზადეთ ფართო კულტურული პროგრამა სტუდენტური ფესტივალების, ოთხგზის ლაურეატის, ინსტიტუტის ვოკალურ-ინსტრუმენტული ...

სტუდენტთა სამშენებლო რაზმები უაღრესად მნიშვნელოვან, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანას ემსახურებიან. მათ დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ და შეაქვთ კიდეც ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღმავლობაში. ამიტომ ჩვენი, დამხვდური ორგანიზაციების ვალია ყოველმხრივ ...

...რიოდში 330 ქართველმა სტუდენტმა უნდა შეასრულოს 650 ...

...— მე თავად დიდი გამოცდილება მაქვს შრომითი სემესტრებში მონაწილეობისა. რიგითი მებრძოლით დავიწყე და ბოლოს რაზმის მეთაურიც გავხდი...

# რას ფიქრობს ხალხი?

## ეს ითქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე აღინიშნა, რომ პარტიის განკარგულებაშია მოქნილი, ოპერატიული კავშირის ბევრი არხი, რომელიც მას საშუალებას აძლევს მყისვე ამჩნევდეს ცვლილებებს მასების განწყობილებაში, ღრმად სწავლობდეს მათ ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. ეს არის მშრომელთა გამოსვლები და წერილები, კითხვები ლექტორებისა და პროპაგანდისტებისადმი, სოციოლოგიური გამოკვლევები.**

**იმ მისამართებს შორის, სადაც შეძენილია ახეთი მუშაობის საინტერესო გამოცდილება, დასახელებულია საქართველო. ეს გამოცდილება უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ და ყოველმხრივ განვავითაროთ. გიამბობთ საზოგადოებრივი აზრის შესწავლისათვის მუშაობის ზოგიერთ მხარეზე, რომელსაც ეწევიან რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები.**

გადაწყდა, რომ აპრილში თბილისში გამართულიყო საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლის ამაღლების შესახებ. და აი, მის მოწყობამდე ერთი თვით ადრე ადგილობრივ გაზეთებში გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ...

...ტებსა და უპარტიოებს მიმართავდა თავისი უმნიშვნელოვანესი დადგენილებების შემუშავებისას. იგი სთავაზობდა თითოეულს ჩაბმულიყო ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმების მომზადებაში. ბიულეტენები, რომლებიც შეიცავდა წერილების ნაწყვეტებს, თანდათან პლენუმე-...

...მცხოვრებლების დ. დარბაიძისა და გ. სიამაშვილის, ზოგიერთი სხვა ამხანაგის წინადადებით...

მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკის პარტიულ კომიტეტებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მოსული ყოველდღიური ...

...დეს განხორციელებინათ ყველა საქმიანი წინადადება. გარდა ამისა, ყოველივე ამის გათვალისწინებით, ადამიანთა შეგნებაში თანდათან განმტკიცდა რწმენა: მათ მიმართავენ სერიოზულად, მათი რჩევა და წინადადებანი ნამდვილად საჭიროა პრაქტიკული მუშაობისათვის.

თანდათან დიალოგი სულ უფრო აქტიური ხასიათს იძენდა. რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი კომუნის-...

ორგანიზებულია რაიკომების ახლად შექმნილი სოფლის მეურნეობის განყოფილებების გამგეთა სწავლება, რომლის მიზანია თანამედროვე მუშაობის მეთოდების დაუფლება. სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტში მათთვის კითხულობენ ლექციების კურსს, შემდეგ თითოეული მათგანი ადგილობრივ მასალაზე იცავს თავისებურ სადიპლომო პროექტს. ყველაფერი კი დაიწყო ლაგოდეხისა და მახარაძის რაიონების ...

...მიზნულად შესწავლილიყო, თუ რას ფიქრობს ხალხი ამა თუ იმ პრობლემაზე, რა აღელვებს დაავუმებს, ხოლო, როცა ეს გამოირკვევა, როგორ მოვახდინოთ უფრო ზუსტი რეაგირება, როგორ ვუპასუხოთ უფრო სრულად ადამიანების მოთხოვნილებებსა და კითხვებს.

ვ. კოჟემიაკო,
გ. ლებანიძე,

(„პრავდის" სპეც. კორ).

„პრავდა", 1983 წ. 21. VI.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

## დათვალიერება-კონკურსის მიზანია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს მიმდინარე წლის 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე მოეწყოს სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის ხარისხისა და მუშაობის ეფექტიანობის — სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდებისა და ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესების რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსი.

დამტკიცებულია დებულება სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის ხარისხისა და მუშაობის ეფექტიანობის — სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდებისა და ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესების რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის შესახებ.

რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის ჩატარების ორგანიზაციის მიზნით 1983 წლის ივნისში გაიმართება პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებული ხარისხისა და ეფექტიანობის კომისიების თავმჯდომარეებისა და სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელების ჯგუფური გასვლითი თათბირები.

მუშაკები, რომლებიც განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს რესპუბლიკურ დათვალიერება-კონკურსში, დაჯილდოვდებიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

რესპუბლიკის მოწინავე მუშათა და სპეციალისტთა ჯგუფი პროდუქციის ხარისხის ტექნიკური დონის, მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების სამუშაოთა ორგანიზაციის გამოცდილების გაზიარების მიზნით დაჯილდოვდება საზღვარგარეთ ქვეყნებში მოგზაურობით.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს დაევალა უზრუნველყოს სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის ხარისხისა და მუშაობის ეფექტიანობის — სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდებისა და ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესების რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის მოწყობის შესახებ პლაკატების მომზადება, გამოცემა და დაგზავნა რესპუბლი-...

...კის სამრეწველო საწარმოებში, სამინისტროებში, უწყებებში და პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებულ ხარისხისა და ეფექტიანობის რეგიონალურ კომისიებში.

სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის ხარისხისა და მუშაობის ეფექტიანობის — სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდებისა და ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესების რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის მიმდინარეობისა და შედეგებს ფართოდ გააშუქებს რესპუბლიკური და საქალაქო პრესა, ტელევიზია და რადიო. (საქინფორმი).

## ჰ. კოლისა და ჰ.-დ. გენშერის საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის შესახებ

**საბჭოთა** ხელმძღვანელობის მოწვევით გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი ჰელმუტ კოლი და ფედერალური კანცლერის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი საბჭოთა კავშირს ეწვევიან ამა წლის ივლისის დამდეგს.

# საკვებმომპოვებელთა შემართება

**გულისყურით** განიხილეს და სამოქმედო პროგრამად აღიქვეს გურჯაანელმა საკვებმომპოვებლებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წერილი, რომელიც რესპუბლიკის მშრომელებს მოუწოდებს გააერთიანონ ძალები მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის.

გურჯაანელებმა წლეულს უნდა დაამზადონ 33.000 ტონა უხეში საკვები, მათ შორის: სენაჟი — 20.000, თივა — 8.000, ნამჯა — 5.000 ტონა, წვნიანი საკვები — 33.320 ტონა. გარდა ამისა გურჯაანის სამეურნეობათაშორისო კომბინირებული საკვებისა და თივის ფხვნილის საწარმო (დირექტორი გ. ბიძინაშვილი) დაამზადებს 1.310 ტონაზე მეტ ვიტამინიანი ბალახის ფხვნილის გრანულს და 10.000 ტონა კომბინირებულ საკვებს; ამით რაიონის მშრომელები პირუტყვისათვის შექმნიან წლინახევრის მარაგს.

თუ როგორ წყვეტენ გურჯაანელები ამ რთულ და მეტად საპატიო ამოცანას, ამის თაობაზე გვესაუბრება აგროსამრეწველო გაერთიანების რაიონული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ლაზარაშვილი, რომელმაც გვითხრა:

— მეტად რთულ კლიმატურ პირობებში გვიხდება მუშაობა, თითქმის გამუდმებით წვიმს, წყალდიდობა, ზოგჯერ სეტყვაც დიდ სიძნელეებს გვიქმნის საკვების დამზადებაში. ასეთ პირობებში ტექნიკას ეფექტიანად ვერ ვიყენებთ, საკვებმომპოვებლებს არა აქვთ საშუალება იმუშაონ მთელი ძალებით. წამოჭრილი სიძნელეების დასაძლევად ღონისძიებათა კომპლექსი ხორციელდება. შეიქმნა საკვების დამზადების საორგანიზაციო შტაბი, რომელსაც პარტიის რაიკომის ბიუროს დავალებით ხელმძღვანელობს ბიუროს წევრი, გურჯაანის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზაურ მანიჟაშვილი. ანალოგიური საორგანიზაციო ჯგუფებია შექმნილი ადგილებზე საზოგადოებრივ მეურნეობებშიც. პირუტყვის საკვების დამზადება ჩვენ სენაჟის ჩადებით დავიწყეთ. საამისოდ წინასწარ მოვემზადეთ, შემოდგომაზე სასენაჟე ბალახი დავთესეთ 2.740 ჰექტარ ფართობზე. საუკეთესო ხარისხისას და დიდძალ მწვანე მასას ვიღებთ 1475 ჰექტარ მრავალწლოვანი ბალახების ფართობზე. აქ, სულ ცოტა, სამ მოსავალს მოველით. თითოეულ ჰექტარზე 140 ცენტნერის ნაცვლად 160-170 ცენტნერი მწვანე მასა ითიბება. უკვე დამზადებული გვაქვს 12500 ტონაზე მეტი სენაჟი. რაღა თქმა უნდა, მთავარ ყურადღებას ვუთმობთ საკვების დამზადების ტექნოლოგიური პროცესების ზუსტად დაცვას, ხარისხს.

საკვების დამზადებაში გვეხმარებიან რაიონის საწარმოები, ორგანიზაციები, რომლებიც კოლექტიური იჯარის საწყისებზე მუშაობენ. კარგ ამინდებში დღეში 1.200-1.300 ტონა სენაჟს ვამზადებთ.

ყველა საზოგადოებრივი მეურნეობა საკვების დამზადებას გულისყურით ეკიდება, მაგრამ ცალკე მინდა გამოვყო გურჯაანის სამეურნეობათაშორისო კომბინირებული საკვებისა და თივის ფხვნილის საწარმოს მცირერიცხოვანი კოლექტივი. მან ალაზნის პირას „ბალბაქუდურის" მიდამოებში და სოფელ ვეჯინის ბოლოში „შოროქანზე" 1982 წელს აითვისა და გააკულტურა 400 ჰექტარი მიწის ფართობი, საიდანაც მწვანე მასის უხვ მოსავალს იღებენ. საწარმომ მოთიბა და გადაამუშავა 2.250 ტონა მწვანე მასა, 300 ტონაზე მეტი მწვანე ბალახი მიაწოდა რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს. მათ დღეისათვის დამზადებული აქვთ 3000 ტონა კომბინირებული საკვები და 390 ტონაზე მეტი ბალახის ფხვნილის ვიტამინიანი გრანული.

მწვანე მასის აღებაზე თავდაუზოგავად მუშაობს კომბაინერი ვახტანგ ცანკაშვილი. მან უკვე 2.000 ტონაზე მეტი ბალახი გათიბა. მას შრომაში მხარს უბამენ კომბაინერი მიხეილ ბადრიაშვილი, მძღოლები მერაბ შანიძე, ზურაბ ჯაჭვაძე და სხვები.

გურჯაანელ საკვებმომპოვებელთა ენთუზიაზმი და შემართება სრულ გარანტიას იძლევა, რომ ყველა სიძნელეს დაძლევენ და მტკიცე საკვებ ბაზას შექმნიან პირუტყვისათვის.

**დ. გერგიშვილი,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

# სრულყოფენ შრომის ორგანიზაციას

**ასაწყობი** საგარაკო სახლების წარმოება დაიწყო რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის თბილისის საშენ მასალათა და სამეურნეო ნაწარმის კომბინატში. ჯერჯერობით კომბინატი ას სახლს უშვებს წელიწადში. მომავალში, კომბინატი ორჯერ მეტ სახლს გამოუშვებს.

კომფორტული სახლები კომბინატის ერთადერთი პროდუქცია როდია. აქ უშვებენ სხვადასხვა ზომის ლურსმნებს, კონსერვის ხუფებს, პარკეტს.

გაადიდონ ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება, გააუმჯობესონ მისი ხარისხი, გააფართოონ ასორტიმენტი — ასეთ მიზანს ისახავენ რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოების მშრომელები, რომლებიც პრაქტიკულად წყვეტენ „1983-1985 წლებში სახალხო მოხმარების საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის დამატებით ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში დასახულ ამოცანებს.

საწარმოში ინერგება შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების შჩეკინოელთა მეთოდი.



# უცხოეთში

ფაქტები მოვლენები საკლებულ იუწყება

# სსრ კავშირი მშვიდობის ბაირახტარია

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შედეგები კვლავ მსოფლიო საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღების ცენტრშია. პროგრესული პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი იღვწის მშვიდობისათვის, რომელსაც მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისათვის. აღნიშნავენ, რომ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის ბრძოლას ახალ იმპულსს მიანიჭებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე ი. ვ. ანდროპოვის არჩევა, რომელიც ავტორიტეტიანად და თანამიმდევრულად ახორციელებს საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მტკიცე ხაზს.

ხუთი ბირთვული სახელმწიფოს ბირთვული არსენალების შემადგენელი ყველა კომპონენტის გაყინვის შესახებ საბჭოთა კავშირის ახალ წინადადებებს მაღალი შეფასება მისცა და სავსებით მხარი დაუჭირა ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის საქმე.

„თანამიმდევრული, დაუცხრომელი ბრძოლა მშვიდობისათვის საბჭოთა საგარეო პოლიტიკის საფუძველია", „მომავალი სოციალიზმს ეკუთვნის", „ბრძოლა მილიარდობით ადამიანის გონებისა და გულისათვის" — ამ სათაურებით აქვეყნებენ მოსკოვიდან მიღებულ ცნობებს უნგრული გაზეთები. „მსოფლიო საზოგადოებრიობაზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვამ, — აღნიშნავს „ნეპსაბადშაგი". — მისი მშვიდი და გულდაჯერებული ტონი მკვეთრად განსხვავდება უგუნური მილიტარისტული განცხადებებისაგან, რომლებიც თეთრი სახლიდან გვესმის. ამ სიტყვამ კლასობრივ მოწინააღმდეგეს აგრძნობინა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, იმ ვარაუდის ამაოება, რომ სსრ კავშირს აიძულებს წავიდეს დათმობებზე, რაც საფრთხეს შეუქმნის საბჭოეთის უშიშროებას, საბჭოთა ადამიანების, მოძმე სოციალისტური ქვეყნების მშრომელთა მშვიდობიან ცხოვრებას. ახლანდელ საერთაშორისო ურთიერთობის მთელი სიმწვავის პირობებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავინდებურად დარწმუნებულია, რომ ბირთვული უგუნურების შეჩერება შესაძლებელია".

„ეჭვს არ იწვევს, — წერს პოლონური „ტრიბუნა ლუდუ", — რომ უმნიშვნელოვანესი წვლილი მშვიდობის დაცვაში, რომელსაც იმპერიალიზმი საფრთხეს უქმნის, იქნება სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება, მათი თანამშრომლობის განვითარება პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ყველა დარგში. აი რატომ იყო, რომ ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებს ასეთი ყურადღება დაეთმო როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, ისე საბჭოთა პარლამენტის სესიაზეც".

გაზეთი „ფოლნეუ ვოლნოსტი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსრ კავშირი ყველა საჭირო ღონისძიებას განახორციელებს, რათა ჩაფუშოს ამერიკის შეერთებული შტატების გეგმები, რომელთა მიზანია სამხედრო უპირატესობის მიღწევა და როგორც საკუთარი, ისე მისი მოკავშირეების უშიშროების უზრუნველყოფა.

დასავლეთ ბერლინის გაზეთი „ვარჰაიტი" წერს: პარტიისა და ხალხის გონებისა და ნების ერთიანობის ახალ დამაჯერებელ დადასტურებად მიგვაჩნია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის არჩევა. როგორც პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე ი. ვ. ანდროპოვი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთ. მის მიერ გამოთქმული პრინციპული დებულებანი, რომლებიც განსაზღვრავენ სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სავსებით შეესაბამება საბჭოთა ადამიანების მისწრაფებებს.

საბჭოთა ხელმძღვანელმა, — ხაზგასმით აღნიშნავს ფრანგული „კოტიდიენ დე პარი", — კვლავ დაადასტურა, რომ სსრ კავშირი არავის ნებას არ მისცემს შეარყიოს სოციალიზმსა და იმპერიალიზმს შორის სამხედრო-სტრატეგიული წონასწორობა.

იტალიური გაზეთი „სტამპა" წერს: „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, რომლის ტრიბუნიდან მკაცრად გააკრიტიკეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული იმპერიალისტური ძალები, ერთსულოვნად მოიწონეს დადგენილება, რომელიც შეიცავს სსრ კავშირის ახალ ინიციატივას. საბჭოთა პარლამენტარებმა დაავალეს საბჭოთა მთავრობას მიმართოს წინადადებით ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, რომ ყველა ბირთვულმა სახელმწიფომ ერთდროულად გაყინოს მათ განკარგულებაში არსებული ბირთვული შეიარაღება, როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად".

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე თავიანთ გამოსვლებში საბჭოთა ხელმძღვანელებმა არაერთგზის აღნიშნეს, რომ უთუოდ საჭიროა განიარაღების მიღწევა, — აღნიშნავს გაზეთი „ინდიან ექსპრესი". — ამავე დროს საბჭოთა კავშირმა განაცხადა, რომ შესაბამის ღონისძიებებს განახორციელებს შეიარაღების გაზრდის მიმართულებით ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ღონისძიებათა პასუხად".

● **ჩინეთი**

# დაამტკიცეს მთავრობა

**პეკინი.** სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების აქ მიმდინარე პირველ სესიაზე დაამტკიცეს ქვეყნის მთავრობის — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ახალი შემადგენლობა.

როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჟაო ძიანის წინადადებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილეებად დაამტკიცეს ვან ლი, იაო ილინი, ლი პენი და ტიან ძიუნი, სახელმწიფო საბჭოს ახალ შემადგენლობაში შევიდნენ აგრეთვე სახელმწიფო საბჭოს წევრები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტებისა და კომისიების თავმჯდომარეები. საგარეო საქმეთა მინისტრად დარჩა სიუ ეციანი, თავდაცვის მინისტრად — ჯან აიპინი.

სესიამ ცენტრალური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად დაამტკიცა ე ძიანინი, სიუ სიანციანი, ნე ჟუნჯენი და იან შანკუნი.

აირჩიეს აგრეთვე უზენაესი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე და უზენაესი სახალხო პროკურატურის გენერალური პროკურორი.

● **განა**

# მოწოდება მოსახლეობისადმი

**ლომე.** აკრის რადიომ განის მოსახლეობას მოუწოდა შეინარჩუნოს სიმშვიდე და ეროვნული თავდაცვის დროებით საბჭოს გაუწიოს დახმარება სახელმწიფო გადატრიალების იმ წარუმატებელი ცდის მონაწილეთა დაჭერაში, რომელსაც მიმართა ჯარის გამთიშველი ელემენტების ჯგუფმა.

გადაცემაში ხაზგასმულია, რომ ხელისუფალნი აკონტროლებენ მდგომარეობას ქვეყანაში, ყველა სტრატეგიული პუნქტი მთავრობის ჯარების ხელშია.

535 ათასი ტონა ჩაისათვის

# შეფერხება სტარტზე

**წელს** გალის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების ჩაის პლანტაციებში უნდა მოიკრიფოს 48.000 ტონა ხარისხოვანი მწვანე ფოთოლი, აქედან მაის-ივნისში — 24.477 ტონა. ეს წლიური გეგმის ნახევარზე მეტია და შემთხვევითი როდია, რომ სპეციალისტები მეჩაიეებს მოსავლის აღების სტარტზევე უგეგმავენ ამ მაღალ საკონტროლო ციფრებს. ამ პერიოდში, ჯერ ერთი, ჩაი მაღალხარისხოვანია, მეორე კი ბუჩქების სწრაფად და გულმოდგინედ გადაკრეფით საფუძველი ეყრება პლანტაციების შემდგომ ნორმალურ ვეგეტაციას. იმაზე, თუ რამდენად დროულად და ხარისხოვნად მოიკრიფება ფოთოლი, დიდად არის დამოკიდებული მეორე მოსავლის სიუხვის საქმეც.

როგორ ართმევენ თავს გალელი მეჩაიეები ამ მნიშვნელოვან საქმეს?

გაზაფხულის უკანასკნელი თვის ამინდი მაინცდამაინც არ ანებივრებდა რაიონის მეჩაიეებს. მიუხედავად ამისა მაის-ივნისის დავალების ანგარიშში მათ მოკრეფილი აქვთ და ფაბრიკებს ჩააბარეს 10.242 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მართალია, ამ დროისათვის შარშანდელ დონეს მეჩაიეები უსწრებენ, მოკრეფილი აქვთ 2.482 ტონით მეტი ფოთოლი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ შარშან უამინდობის გამო ისინი საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ წინა წლების დონეს, დღევანდელი მაჩვენებელი სასიხარულო როდია — ორი თვის გეგმა მხოლოდ 41,8 პროცენტით შესრულდა.

რამ გამოიწვია ჩამორჩენა სტარტზე?

იქნებ გალელმა მეჩაიეებმა თავის დროზე ვერ შეძლეს უხვი მოსავლის მოყვანა, ანდა გამოცდილება და ოსტატობა აკლიათ მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის? რა თქმა უნდა, ამას ვერ ვიტყვით, რაიონში ჩაის მოსავალიც უხვია და ნედლეულის აღების გამოცდილებაც არ აკლიათ. საქმე ის გახლავთ, რომ ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, და ჩაის ფაბრიკა როდი შეხვდა სათანადოდ მომზადებული მოსავლის აღების ახალ სეზონს. ფოთოლი რომ უხვად შემოვიდა, ადგილებზე დაბრკოლებამ უმალ იჩინა თავი. სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ რაიონში გარდა ერთეული მეურნეობებისა, სხვები წარმატებით ვერ ართმევენ თავს დავალებებს. რაიონის საერთო მაჩვენებლებს, უკან სწევენ ჩამორჩენილი კოლექტივები.

ჭუბურხინჯის სტალინის სახელობის, სიდის ცხაკაიას სახელობის, მზიურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, კოხორის და მზიურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებში, ნაბაკევის კიროვის სახელობის კოლმეურნეობა-კომპლექსში ჩაის ფოთოლი იკრიფება წინასწარ შედგენილი ყოველდღიური გრაფიკის შესაბამისად და მათ ორი თვის დავალება 48-67 პროცენტით აქვთ შესრულებული. სამწუხაროდ, ეს მაჩვენებელი 33-35 პროცენტს არ აღემატება საბერიოს ორჯონიკიძის, დიხაზურგის, ჭავჭავაძის, მუხურის ჯგუბურიას, ოქუმის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში.

რაიონში მოსავლის აღების დასაწყისიდანვე ცალკეული მეურნეობების ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოთა სიმძლავრის უკმარისობის შედეგია. გალის საწარმოო გაერთიანების ჩაის ფაბრიკებმა დღე-ღამეში 850 ტონაზე მეტი ნედლეული უნდა გადაამუშაონ, ფაქტობრივად კი 595-600 ტონაზე მეტს ვერ ამუშავებენ. 200-250 ტონა მოკრეფილი ნედლეული ყოველდღე ადგილებზე რჩება. კიდევ უარესი, თქვენ წარმოიდგინეთ რა მდგომარეობაშია ის ნედლეული, რომელიც ფაბრიკების მიმღებ პუნქტებთან მანქანების ძარაში, ზოგან ყუთებში, ზოგან უტაროდ მცხუნვარე მზის ქვეშ იხარშება და იჟვება.

წელს გალელ მეჩაიეებს ნამდვილად უღალატეს მშენებლებმა. სხვა სიტყვას აქ ვერც იხმარ. მრეწველობის ახალი სიმძლავრეები, რომლებიც შარშანდელი სეზონისათვის უნდა ამუშავებულიყო, დღესაც არ არის მზად ნედლეულის მისაღებად. მხოლოდ დაუდევრობისა და უპასუხისმგებლობის შედეგია, რომ საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მეშვიდე ტრესტის ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო ოქუმის ჩაის ფაბრიკის მინაშენის დროულად დამთავრება. ეს 35-40 ტონიანი სიმძლავრის საწარმო შარშან უნდა ამუშავებულიყო. საეჭვოა, რომ მიმდინარე სეზონში ამ ახალ საწარმოში ნედლეული გადამუშავდეს.

ვერც აჩიგვარის ჩაის ფაბრიკაშია ბევრად უკეთესი მდგომარეობა. გაზეთ „კომუნისტის" მიმდინარე წლის 17 აპრილის ნომერში გაკრიტიკებული იყო აჩიგვარის ჩაის ფაბრიკის რეკონსტრუქციის მიმდინარეობის ნელი ტემპი. მოსალოდნელი იყო, რომ ტრესტის (მმართველი — გ. ჯიტავა) მშენებლები გაზეთის სამართლიან შენიშვნას ყურად იღებდნენ, გააორკეცებდნენ ამ ობიექტზე მუშაობის ტემპს და ყოველ ღონეს იხმარდნენ მისი დროული ამოქმედებისათვის. მაგრამ ასე როდი მოხდა. მართალია, ამჟამად, სიმძლავრეთა სიმცირის გამო აჩიგვარში იძულებული გახდნენ ყოველგვარი ტექნოლოგიური ნორმების დაცვის დარღვევით ნედლეულის მიღება-გადამუშავებას შესდგომოდნენ, მაგრამ ვაი, ასეთ მიღებას. სახურავიდან, რომელიც ჯერ კიდევ დაუმთავრებელია, წყალი ჩადის და წვიმის დროს იძულებული არიან, ტექნიკური უსაფრთხოების გამო, ფაბრიკის მუშაობა შეაჩერონ. მშენებლები კი ჯერჯერობით კორპუსიდან არ გამოსულან და აქ ერთდროულად მიმდინარეობს ჩაის სათუთი ნედლეულის მიღება-გადამუშავება და შენობის კედლების ამოყვანა-მობათქაშების სამუშაოები.

და რა გასაკვირია, რომ ასეთ ვითარებაში უარესდება ფაბრიკებში მიტანილი ჩაის ფოთლის ხარისხი! ამას ემატება ისიც, რომ რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ირღვევა ჩაის ფოთლის კრეფის აგროწესები. იყენებენ თვითნაკეთ დანებს, ნამგლებსა და სხვ. არასტანდარტული ხდება მოკრეფილი ჩაის ფოთოლი, ნედლეულში მკვეთრად იზრდება უხეში ფოთლის პროცენტული შემადგენლობა, ხოლო ჩაის ბუჩქებს კი ეწევა სასტიკი ექსპლოატაცია და ამასთან ზიანდება ბუჩქზე მომდევნო ვეგეტაციის კვირტი. ასეთი ფაქტები გალის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მიერ სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა. მკაცრი გამაფრთხილებელი ბრძანებაც ცოტა როდი დაიწერა, მაგრამ წუნის მკეთებლები თავისას მაინც განაგრძობენ.

ჩაის ნედლეულის დამზადებაში ხარისხის დარღვევებს ხელს უწყობენ და ბრალი მიუძღვით მომმარაგებელ ორგანიზაციებსაც, რომლებმაც არ უზრუნველყვეს დაგეგმილი რაოდენობის ავტომანქანებით, ჩაის საკრეფი მობილური მანქანებით, ხელის იარაღებით მეურნეობანი.

— მიმდინარე წელს, — გვეუბნება გალის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე რ. შონია, — დიდი შეფერხებებია მანქანა-იარაღების სათადარიგო ნაწილებით მომარაგების საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ ფონდები დაშვებული და განაწილებულია, ნახევარი წელი იწურება, მეურნეობებს კი აკუმულატორები, ბრეზენტები, ფარდულების სახურავი ტოლი და სათადარიგო ნაწილები სანახევროდაც არ მიუღიათ.

გალის რაიონის მეჩაიეთა ამოცანაა პირნათლად გაანაღდონ ნაკისრი ვალდებულებანი, ყოველდღე გააძლიერონ ტემპი, დაყოვნებას არ უნდა შეურიგდნენ.

**ი. გოგეჩია,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

**ფოტოინფორმაცია**




მშვიდობისათვის ბრძოლის გაძლიერების ნიშნით გაიმართა საფრანგეთის ქალაქ ლილში მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა, საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა შეხვედრა.

„ჩვენ გავიმარჯვეთ ფაშიზმთან ბრძოლაში, — განაცხადეს შეხვედრის მონაწილეებმა, — ჩვენ უნდა დავიცვათ მშვიდობა, ვიხსნათ კაცობრიობა ატომური კატასტროფისაგან!"

სურათზე: ლილის ცენტრში აღმართულია „დაღუპულთა მონუმენტი", რომელიც ამ ქალაქის მცხოვრებთა სახსრებით აიგო. საკდესი.

# თათბირი ბერლინში

**ბერლინი.** აქ გაიმართა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეების შეხვედრა. თათბირის დროს, რომელიც გახსნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ო. ფიშერმა, განიხილეს აქტუალური საერთაშორისო საკითხები იმ ამოცანათა რეალიზაციის თვალსაზრისით, რომლებიც გამომდინარეობენ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის პრაღის დეკლარაციიდან. თათბირში მონაწილეობდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. თ. მალცევი.

ინგლისი:

# ისევ ტორები

**ლონდონის** ცენტრალური მოედნების სარეკლამო ფარებზე გუშინდელ კანდიდატთა სურათები თითქმის მთლიანად შეიცვალა ახალი ამერიკული ფილმების რეკლამებით. 9 ივნისს ინგლისელმა ამომრჩევლებმა წერტილი დაუსვეს კიდევ ერთ საარჩევნო ბატალიებს. ერთი შეხედვით, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სერიოზული ადგილობრივი მიმომხილველები, მიუხედავად კონსერვატორთა დამაჯერებელი გამარჯვებისა, თავს იკავებენ იმის მტკიცებისაგან, რომ ტეტჩერი დამსახურებულად დარჩა პრემიერის აპარტამენტებში დაუნინგსტრიტზე.

არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ ფაქტსაც, რომ უკანასკნელ ხანს თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ვადამდელი არჩევნები დასავლეთ ევროპის წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში, რაც უწინარეს ყოვლისა, მმართველი პოლიტიკური პარტიისათვის მომავლის უპერსპექტივობით აიხსნება.

ბუნებრივია, რომ პოლიტიკური პარტიის გამარჯვებას, მით უმეტეს თუ იგი 4 წელს უკვე მართავს ქვეყანას, უპირველეს ყოვლისა, საფუძვლად უნდა ედოს მიღწევები ეკონომიკის სფეროში.

როგორი აქტივით შეხვდა ტეტჩერის კაბინეტი არჩევნებს? მარტო შარშან, წინა წელთან შედარებით, 11,5 პროცენტით შემცირდა სამრეწველო პროდუქციის გამოშვება, ცხადია, ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას თითქმის ავტომატურად მოჰყვა უმუშევრობის მკვეთრი ზრდა. ოფიციალური მონაცემებით, უმუშევრობამ ჯერ კიდევ შარშან გადააჭარბა 3-მილიონიან ზღვარს. ამომრჩეველთა აშკარა მოტყუებად იქცა კონსერვატორთა არჩევნებისწინა დაპირება საშემოსავლო გადასახადის შემცირების თაობაზე. სინამდვილეში კონსერვატორებმა 33-დან 30 პროცენტამდე შეამცირეს საშემოსავლო გადასახადის ეგრეთ წოდებული საბაზო მოცულობა, მაგრამ გაიზარდა არაპირდაპირი გადასახადები, სადაზღვევო გადასახადები და სხვა. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, დღეს 4-სულიანი ოჯახი სხვადასხვა გადასახადის სახით ხაზინას უხდის ხელფასის 37,75 პროცენტს, 1978 წელს კი 29,5 პროცენტს იხდიდა. პარალელურად ხორციელდებოდა სამხედრო ხარჯებისა და მილიტარისტულ ამბიციათა უზომო ზრდა. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, 1982 წლის დამდეგამდე კონსერვატორებსა და ლეიბორისტებს შორის კიდევ არსებობდა მოჩვენებითი თუ რეალური თანხმობა სამხედრო პოლიტიკის სფეროში. დღეისათვის კი სწორედ სამხედრო პოლიტიკა გახდა ორ წამყვან ბურჟუაზიულ პარტიას შორის განხეთქილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, მაშინ, როდესაც კონსერვატორებს გადაწყვეტილი აქვთ „ტრაიდენტის" სისტემით შეცვალონ შედარებით ნაკლებეფექტიანი „პოლარისები", და ქვეყნის კარი გაუხსნან ამერიკულ ფრთოსან რაკეტებს. ლეიბორისტებს ასევე მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყველა სახეობის ბირთვული იარაღისაგან გაათავისუფლონ ქვეყანა, რაც მთავარია, განიარაღების საკითხი მარტო ლეიბორისტულ პარტიას არ გაუხდია პოლიტიკური კამათის მთავარ თემად, ამავე კურსს ადგანან განიარაღებისათვის მებრძოლი დაჯგუფებანი.

მაინც რით ხსნიდნენ კონსერვატორები ვადამდელი არჩევნების აუცილებლობას? 57 წლის ტეტჩერი, რომელიც თავის დროზე მთელ ევროპაში პირველი პრემიერი ქალი გახდა, ამტკიცებდა, რომ ვადაზე ერთი წლით ადრე იმიტომ დანიშნა არჩევნები, რათა ბოლო მოუღოს პოლიტიკურ გაურკვევლობას, რომელიც ხელს უშლის გულდასმით მომზადებულ და გაანგარიშებულ ეკონომიკურ გაჯანსაღებას. მართლაც, თეორიულად კონსერვატორებს შეეძლოთ 1984 წლის მაისამდე დარჩენილიყვნენ ხელისუფლების სათავეში. მათ ხომ თემთა პალატის 635 ადგილიდან 334 ეკუთვნოდათ (ლეიბორისტებს — 239, სოციალ-დემოკრატებს — 29, ლიბერალებს — 13, დანარჩენებს — 17) და მაინც ტეტჩერმა გადაწყვიტა ვადაზე ადრე ეთხოვა „ნდობის ვოტუმი" ამომრჩევლებისათვის. ასეთი აჩქარების ერთი-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ არ არსებობს ეკონომიკის გამოჯანსაღების არავითარი გარანტია. გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ მომავალ ზამთარს კიდევ უფრო გაუარესდება ეკონომიკური კონიუნქტურა. მომავალი წლის მაისამდე შეიძლება 4 მილიონს მიაღწიოს უმუშევრობამ.

შეიძლება ასეთი კითხვაც დაებადოს მკითხველს: თუკი კონსერვატორთა მმართველობამ ფაქტობრივად ეკონომიკურ კრახამდე მიიყვანა ქვეყანა საშინაო პოლიტიკის სფეროში და თანაც სახიფათო გამალებულ შეიარაღებაშიც ჩაება, მაშ რის იმედი ჰქონდა მთავრობას ან ასე დამაჯერებლად რატომ გაიმარჯვეს კონსერვატორებმა? საქმე ის არის, რომ რთულ პოლიტიკურ მოვლენებზე არასოდეს არ არსებობს ერთი პასუხი. იგივე ეკონომიკის სფერო რომ ავიღოთ, საერთო გაუარესების ფონზე მაინც შეიმჩნევა ერთგვარი მიღწევები უკანასკნელ პერიოდში. მაგალითად, მთავრობამ შეძლო 5 პროცენტამდე შეემცირებინა ინფლაცია და სწორედ ეს საკითხი აქციეს კონსერვატორებმა თავიანთ მთავარ რეკლამად საარჩევნო კამპანიაში. ამომრჩეველთა ყურადღების მიღმა არც ის დარჩენილა, რომ ბრიტანეთის მრეწველობის კონფედერაციის პროგნოზით, მიმდინარე წელს 2,25 პროცენტით გაიზრდება სამრეწველო პროდუქციის წარმოება და 3,5 პროცენტით — გაისად. ყოველივე ამას ზედ ერთვის დიდი ბიზნესის პოზიცია, რომელიც მტკიცედ უჭერს მხარს კონსერვატორებს.

საგარეო პოლიტიკის სფეროში ფართო პროპაგანდისტული კამპანიის შედეგად მთავრობამ შეძლო თავის სასარგებლოდ შემოებრუნებინა ფოლკლენდის ავანტიურა. ნუ დავივიწყებთ, რომ ცოცხალი ძალის თვალსაზრისით, ინგლისს არცთუ ისე ძვირად დაუჯდა „გამარჯვება", რეალური მატერიალური ზარალი რიგითი ინგლისელისათვის უცნობია, იმპერიული დიდების ნოსტალგია კი ჯერ კიდევ ცოცხლობს „დიდ" ბრიტანეთში. ამიტომაც იყო, რომ წმინდა სამხედრო თვალსაზრისით საეჭვო ღირებულების ოპერაციას ტრაფალგარს ადარებდა და ადარებს მემარჯვენე პრესა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ვერც ლეიბორისტები შეხვდნენ სათანადოდ მომზადებულნი არჩევნებს, ჯეროვნად არ იყო დასაბუთებული მათი პროგრამა განიარაღების საკითხშიც, რამაც თვით პარტიის შიგნით განხეთქილება გამოიწვია, ბევრი ადგილობრივი მიმომხილველის აზრით, სწორედ განიარაღების საკითხში ყოფილ პრემიერს კალაგენსა და ფუტს შორის მომხდარმა უთანხმოებამ გადაწყვიტა საბოლოოდ არჩევნების ბედი.

როგორი იქნება გამარჯვები ფრთაშესხმული ტეტჩერის კურსი მომავალ 5 წელიწადს? ვესტმინსტერის კულუარებში უკვე ლაპარაკობენ ახალ ანტიპროფკავშირულ კანონმდებლობაზე, მრეწველობის მთელი რიგი დარგების დენაციონალიზაციასა და მემარჯვენე ყაიდის სხვა რეფორმებზე. მთავრობაში მომხდარი გადაადგილებანი სპეციალისტებმა ერთხმად შეაფასეს როგორც ტეტჩერის გადაწყვეტილება თავის სრულ კონტროლს დაუქვემდებაროს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. რას მოუტანს ეს რიგითს ინგლისელებს? ამას მომავალი გვიჩვენებს, დღეს კი იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდეთ, რომ ახალი კაბინეტი ძველი პრობლემების პირისპირ დგას.

**ს. ცინცაძე,**
„კომუნისტის" პოლიტიკური მიმომხილველი.

# ზოგიერთი მაჩვენებელი საზოგადოებრივი მეცხოველეობის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემები

1983 წლის 1 ივნისისათვის

| | რძის საშუალო ნაწველი ერთ ძროხაზე: კგ. | გასული წლის შესაბამის პერიოდთან (+, −), კგ. | [illegible] | 100 ძროხასა და ფურკამეჩზე მიღებულია ხბო და ზაქი: სული | გასული წლის შესაბამის პერიოდთან (+, −), |
|---|---|---|---|---|---|
| სულ საქართველოს სსრ | 644 | + 7 | 26,6 | 47 | + 1 |
| მათ შორის: | | | | | |
| აფხაზეთის ასსრ | 645 | + 51 | 28,3 | 36 | + 6 |
| აჭარის ასსრ | 626 | + 18 | 27,3 | 45 | + 1 |
| სამხრეთ ოსეთის ა. ო. | 534 | + 7 | 27,2 | 49 | + 1 |
| რაიონები: | | | | | |
| აბაშის | 893 | + 65 | 23,5 | 45 | + 1 |
| ადიგენის | 497 | — 18 | 23,5 | 71 | + 9 |
| ამბროლაურის | 302 | — 28 | 22,3 | 40 | — 2 |
| ასპინძის | 518 | + 29 | 24,4 | 86 | + 9 |
| ახალქალაქის | 732 | + 25 | 27,2 | 70 | + 5 |
| ახალციხის | 686 | — 9 | 23,8 | 73 | + 5 |
| ახმეტის | 641 | — 40 | 23,1 | 42 | + 3 |
| ბოგდანოვკის | 753 | — 7 | 28,8 | 58 | + 1 |
| ბოლნისის | 695 | — 58 | 27,4 | 46 | + 2 |
| ბორჯომის | 487 | — 57 | 27,4 | 70 | + 4 |
| ვანის | 810 | — 2 | 20,2 | 37 | — 6 |
| გარდაბნის | 873 | + 34 | 21,0 | 48 | + 2 |
| გეგეჭკორის | 504 | +107 | 24,3 | 28 | — |
| გორის | 841 | + 5 | 23,1 | 49 | + 1 |
| გურჯაანის | 795 | + 24 | 23,3 | 51 | — 1 |
| დმანისის | 661 | — 8 | 21,5 | 61 | — |
| დუშეთის | 495 | — 26 | 26,1 | 33 | — |
| ზესტაფონის | 718 | + 32 | 20,8 | 45 | + 4 |
| ზუგდიდის | 881 | +149 | 27,0 | 39 | + 6 |
| ყაზბეგის | 564 | + 52 | — | — | — |
| ქარელის | 700 | +139 | 31,1 | 55 | — 1 |
| კასპის | 666 | — 16 | 32,3 | 60 | + 1 |
| [illegible] | 589 | — 37 | 20,8 | 40 | — 7 |
| [illegible] | 652 | + 40 | 22,4 | 30 | + 3 |
| ლანჩხუთის | 671 | +141 | 27,6 | 43 | + 4 |
| ლენტეხის | 474 | + 34 | 28,7 | 50 | — |
| მახარაძის | 844 | — 3 | 25,8 | 37 | — |
| მარნეულის | 529 | — 93 | 31,7 | 42 | — |
| მაიაკოვსკის | 618 | — 55 | 28,3 | 37 | — |
| მესტიის | 484 | — 19 | 22,2 | 34 | — 2 |
| მცხეთის | 686 | — 48 | 32,0 | 47 | — 5 |
| ონის | 350 | — 5 | 30,2 | 44 | + 5 |
| ორჯონიკიძის | 528 | + 38 | 14,8 | 37 | +11 |
| საგარეჯოს | 435 | — 61 | 30,7 | 27 | —12 |
| სამტრედიის | 695 | — 3 | 26,7 | 47 | — 1 |
| საჩხერის | 600 | + 1 | 19,1 | 46 | + 2 |
| სიღნაღის | 511 | — 67 | 31,5 | 27 | — 8 |
| თელავის | 584 | + 25 | 33,0 | 35 | — 3 |
| თერჯოლის | 612 | — 61 | 24,8 | 45 | + 2 |
| თეთრი წყაროს | 590 | — 72 | 32,8 | 53 | + 6 |
| თიანეთის | 446 | + 3 | 24,7 | 55 | +11 |
| ხაშურის | 742 | — 8 | 34,6 | 59 | — 1 |
| ხობის | 862 | + 95 | 30,9 | 33 | + 2 |
| წალკის | 586 | + 15 | 27,9 | 66 | + 3 |
| ცაგერის | 890 | + 26 | 19,8 | 37 | + 5 |
| წალენჯიხის | 865 | + 28 | 24,8 | 33 | — 2 |
| წითელწყაროს | 772 | — 6 | 38,0 | 42 | + 5 |
| წულუკიძის | 540 | +150 | 28,1 | 36 | + 7 |
| ცხაკაიას | 786 | + 64 | 26,2 | 30 | — 2 |
| ჩოხატაურის | 489 | + 22 | 24,9 | 27 | — |
| ჩხოროწყუს | 942 | + 74 | 21,1 | 39 | — 5 |
| ქ. ტყიბულის ზონა | 692 | + 30 | 22,2 | 41 | + 5 |
| ქ. წყალტუბოს ზონა | 645 | + 27 | 27,8 | 43 | — 1 |
| ქ. ჭიათურის ზონა | 531 | + 9 | 21,0 | 41 | — 1 |

# ჯილდოები ღირსეულთ

**18 ივნისს** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის" რედაქციის კოლექტივს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი გადასცა. საპატიო სიგელები, აგრეთვე სიგელები „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ მიიღო გაზეთის რედაქციის თანამშრომელთა ჯგუფმაც მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის.

მედიცინის მეცნიერების მუშაკთა ჯგუფს ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისათვის გადაეცა სიგელები „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ჯილდოების გადაცემისას ამხ. პ. გილაშვილმა გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ.

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში გაიმართა კულტურის მოღვაწეთა, პრესის, რადიოს, ტელევიზიის, პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკთა კიდევ ერთი ჯგუფისათვის რესპუბლიკის ჯილდოების გადაცემა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები და „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის", „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ სიგელები გადაეცათ რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის ორგანოებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მუშაკებს. „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის", „უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდებებით აღინიშნა საქართველოს საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში კულტურის მოღვაწეთა ჯგუფის დამსახურება.

სიგელები გადასცა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ.

# ნაყოფიერი მუშაობისათვის

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით პარტიულ ორგანოებსა და ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით საქინფორმის დირექტორის მოადგილე ამხ. ზურაბ შალვას ძე **ლომიძე** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

# საპატიო წოდებათა მინიჭება

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:**

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისა და ნაყოფიერი საშემსრულებლო მოღვაწეობისათვის **„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის"** საპატიო წოდება მიენიჭათ საქართველოს სსრ სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრის მსახიობებს: **ბონდარევსკის** მოსე ბორისის ძეს, **მაწკეპლაძეს** მურთაზ შაქროს ძეს, **ოგანეზოვს** იური ივანეს ძეს, **საფარიშვილს** შალვა იოსების ძეს, **ხმალაძეს** დავით სიმონის ძეს.

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისა და ნაყოფიერი საშემსრულებლო მოღვაწეობისათვის **„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის"** საპატიო წოდება მიენიჭათ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუშაკებს: **ბერიძეს** გიორგი მაქსიმეს ძეს — ორკესტრის მსახიობს, **მაილიანს** **ერვანდ** მინასის ძეს — ორკესტრის მსახიობს, **მუჟირიას** ბორის შალვას ძეს — ორკესტრის მსახიობს, **ქათამაძეს** ევგენი ივანეს ძეს — ორკესტრის მსახიობს, **ლვედაშვილს** ლიანა გიორგის ასულს — ოპერის სოლისტს, **ლოლობერიძეს** ვლადიმერ ლევანის ძეს — ორკესტრის მსახიობს, **ხოფერიას** ნოდარ ანდრიას ძეს — ორკესტრის მსახიობს.

# ფუძის ბალადა

**მიხეილ მიქაძე**

რამდენიმე წლის წინათ მიამბეს: რაჭაში, ერთ პატარა, მიტოვებულ და დაცარიელებულ სოფელს, ერთადერთი მოსახლე, 80 წელს მიღწეული მოხუცი შერჩა კენტად და ჯიუტად არ ტოვებსო კერას. მივლინება ავიღე და საგანგებოდ ავედი მის სანახავად. მინდოდა რაიმე დამეწერა, მაგრამ მაშინ როგორღაც საგაზეთო წიბო-წახნაგი ვერ მოვუნახე ამ ამბავს.

მერმე შევიტყვე, მოხუცის ზეგავლენით კიდევ რამდენიმე კაცი დაუბრუნდაო სოფელს. ახლა კი ღირდა ეს ფაქტი დასაწერად და საამბობლად. მაშინვე გავეშურე რაჭას, მაგრამ თვით მოხუცი აღარ დამხვდა სოფელში. მითხრეს, ძალიან დაბერდა, დაავადმყოფდა და შვილებმა წაიყვანესო ქალაქს. მისამართი ჩავიწერე და, თბილისში რომ დავბრუნდი, შინ მივაკითხე, მაგრამ ველარ მივუსწარი ცოცხალს.

და მაინც დავწერე მოხუცზე, არ შემეძლო არ დამეწერა. ასეთ კაცს მკვდარსაც ვერ გაიმეტებ დასავიწყებლად. დავწერე ისე, როგორც შემეძლო გამეგო და წარმომედგინა მისი ტკივილი და მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები სხვათა ნაამბობის მიხედვით.

**ბერიკაცი** მთელ კვირას შეუძლოდ იყო. თავბრუ ეხვეოდა და სისუსტეს გრძნობდა, მადაც მთლად დაკარგა. მაინც თავს იყოჩაღებდა, ცდილობდა შინაურებს არაფერი შეემჩნიათ. დილით ადრე ადგებოდა ხოლმე, შვილიშვილებთან ერთად ისაუზმებდა და მერმე, როცა ყველანი გაიკრიფებოდნენ სახლიდან — შვილიც, რძალიც, ბავშვებიც — მოხუცი მარტოდმარტო რჩებოდა შინ. მთელ დღეს მოწყენილი იჯდა ფანჯარასთან და ქუჩას გასცქეროდა.

იმ დილით ძლივს აითრია წელი ლოგინიდან და მიხვდა, რომ დღეს ადრინდელზე ცუდად იყო. მარტო რომ დარჩა, ისევ დაწვა. მაგრამ ლოგინად ჩავარდნის შეეშინდა და მალე წამოდგა. მიიტანა სკამი ფანჯარასთან და ამოჩემებულ ადგილას დაჯდა.

გარეთ წვიმდა. ფანჯრიდან ჩანდა, როგორ ცეკვავდნენ და კისერს იტეხდნენ წვიმის წვეთები ასფალტზე გაჩენილ პაწია გუბეებში. ხანგამოშვებით ქარი დაუბერავდა და მაშინ წვიმა ფანჯარასაც შემოუშხაპუნებდა. გაიწკრიალებდა მინა, შეირხეოდა ფარდა და საიდანღაც შხეფები ოთახშიც შემოატანდა.

მოხუცი მაინც არ შორდებოდა ფანჯარას. მას მოსწონდა ეს მოქურუფებული ცა, ეს თქეში და თავსხმა, სახურავიდან ჩამონადენი წყლის ნაღვლიანი სიმღერა საწვიმარ მილებში.

ყოველივე ეს როგორღაც ესალბუნებოდა მის მარტოობასა და მოწყენას. ასეთ წუთებში მას შეეძლო მთელი არსებით მისცემოდა თავის დარდსა და ფიქრებს..

ახლა მისი ფიქრები ცხადივით ნათელი იყო, დარდი ისეთი მკვეთრი და ხელშესახები, რომ ეგონა შეუცდომლად დაიდებდა ხელს გულზე ზუსტად იმ წერტილში, სადაც სტკიოდა.

ყველაზე უცნაური ის იყო რომ ეს მარტოობა, ეს დარდი, ეს ტკივილები ტანჯვას სულაც არ აყენებდა. პირიქით, ახლა იგი სწორედ ტკივილში ეძებდა სიამეს.

იჯდა ფანჯარასთან, ყურს უგდებდა შემოდგომის წვიმის შრიალს და ამ ნაღვლიან აკომპანემენტზე სასიამოვნო იყო ფიქრი განვლილ დღეებზე.

წარსულის გახსენება მხნეობას მატებდა. ასეთ წუთებში იგი მოძულებული, ჩაჩანაკი ბერიკაცი კი არ იყო, არამედ ადამიანი, რომელიც მტკიცე ფესვებზე იდგა, საკუთარი ისტორია და თავგადასავალი ჰქონდა.

გასაოცარი სიცხადით წარმოუდგა მთელი თავისი ცხოვრება თვით იმ დროიდან მოკიდებული, ნატვრად და ოცნებად რომ ჩაისახა დედის გულში.

იგი წარმოიდგენდა თავის თავს საიდანღაც, შორიდან, საუკუნეთა ულრანებიდან მომავალს და ხედავდა ჰორიზონტით ჰორიზონტამდე გადაჭიმულ ვეება სივრცეს, ძნელად სავალი ბილიკებითა და ბეწვის ხიდებით მოფენილს, მხოლოდ აქა-იქ ანათებდნენ ვარსკვლავები ნიშანსვეტებად და მოხუცმა იცოდა, ეს მისი ბედის ვარსკვლავები იყო, რომელთა შემწეობითაც აქამდე მოაღწია.

გონების თვალს გააყოლებდა განვლილ გზას და იხსენებდა თავისი ცხოვრების ცალკეულ სურათებს, ეს მთელი სამყარო იყო, ფიქრში შეკუმშული და ჩატეული. ხან პატარა პერანგისამარა ბიჭუკელა წარმოუდგებოდა თვალწინ, კაბის კალთაში ხელჩავლებული ფეხშიშველა რომ მისდევდა დედას, ხან უკვე ულვაშებშეღერებული ვაჟკაცი იყო და ვარსკვლავებს ეთამაშებოდა. გაღმა სოფელში ერთი შავტუხა გოგო ჩაუვარდა გულში და მოსვენება დაკარგა. ყოველ საღამოს ჭიშკარზე ცხენით აუქროლ-ჩამოუქროლებდა, შორიდან მაინც რომ მოეკრა თვალი. მერე ის შავტუხა გოგო მისი მეუღლე გახდა და ნახევარ საუკუნეზე მეტი ერთად ეწეოდნენ ჭაპანს, ვიდრე ბოლოს არ წაიქცა ქალი და ცალად არ შეატოვა ულელი ბერიკაცს.

„ეჰ, მაშინ წახდა ჩემი საქმე“, — ამოიოხრა მოხუცმა და კვლავ მოგონებებს ჩაუღრმავდა.

გაიხსენა მშობლიური სოფლის ყველა ბილიკი და მისახვევ-მოსახვევი, ბორცვი და ფრიალო, გაიხსენა თავისი ეზო და კარმიდამო, ფერდობზე შეფენილი ვენახი და ღელისპირ ჩამწკრივებული კოპიტები, ისლით დახურული სახლი, შუაცეცხლი, კერიასთან დადგმული აკვანი და დიდთოვლობა, კორტოხზე მარტოდ გადმომდგარა დიდი ცაცხვი, იქვე ორი დღის სახნავი მიწა და უღლად შავი ხარები...

გაიხსენა ყველა ტანჯვა და სიხარული, რაც კი ოდესმე ენახა და გადაეტანა, და ახლა, როცა ყველაფერი ეს უკვე განვლილი და შორეული იყო, ერთნაირად ლამაზი და მომხიბვლელი ჩანდა სიხარულიც და თვით ტანჯვაც.

ეს რომ გაივლო გულში, რაღაც ტკბილი ნაღველი დაეუფლა და პირველად დაფიქრდა იმაზე, რომ თვით ეს ტკივილი და ტანჯვაც მისი ბედნიერების ნაწილი იყო.

უნდა გტკიოდეს, უნდა წუხდე, უნდა გსურდეს, უნდა ნატრობდე, უნდა შეგწევდეს ძალა ტანჯვისაც და სიხარულისაც. უამისოდ არ არსებობს ბედნიერება და სიცოცხლესაც გემო არა აქვს.

მას კი აღარაფერი დარჩა საზრუნავი და ამ ქვეყანასთანაც თითქოს არა ესაქმება რა.

ო, რა ძნელი ყოფილა სიბერე!

მერედა, სიბერის ბრალია ეს?

სიბერე ხომ ერთბაშად და მოულოდნელად არ მოდის. მას კი უბედურება ერთბაშად დაატყდა თავს.

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ქალაქში გადმოსახლდა შვილთან. იქ, სოფელში ყველაფერი თავის წესით და რიგით მიდიოდა. მართალია, ბოლო დროს სიბერე ძალიან მოერია, მაგრამ ვიდრე მშობლიურ კერაზე ედგა ფეხი, ჯერ კიდევ გრძნობდა სიცოცხლის ძალას, რადგან ყოველდღიური საზრუნავიც არ მოჰკლებია.

არ უნდა წამოსულიყო, არ უნდა დაეჯერებინა შვილებისათვის.

თუმცა სხვა რა გზა ჰქონდა? ავად რომ გახდებოდა, წყლის მიმწოდებელი აღარავინ ჰყავდა. მეზობლების იმედით როდემდე უნდა ყოფილიყო? რას იტყოდა ხალხი, შვილები გაელანძღებოდა — მოხუცებულ მამას ვერ მოუარესო.

გასულ შემოდგომაზე ფილტვების ანთებით რომ იყო ავად, შვილებს არ შეატყობინა, მეზობლებს სასტიკად აუკრძალა დეპეშის გაგზავნა, მომჯობინების შემდეგ კი ინანა: ეს რა სისულელე მომივიდა, რომ მომკვდარიყავი, ხომ საქვეყნოდ მოვჭრიდიო თავს შვილებს.

და სწორედ მაშინ, იმ მძიმე ავადმყოფობის გადატანის შემდეგ გადაწყვიტა შვილთან ქალაქს გადმოსახლება.

ძალიან კი უმძიმდა მშობლიური კერისა და ნაამაგარი სახლ-კარის დატოვება. აქ, ამ კერასთან, იყო დაკავშირებული ყველა მისი სიხარული და მწუხარება, მთელი მისი წარსული და მომავალიც. აქ ენთოთ ცეცხლი მის მამა-პაპათ, ამ ცეცხლს დასტრიალებდა სამოცი წლის განმავლობაში საწყალი მისი დედაკაცი, აქ, ამ კერაზე, ამ ცეცხლთან დაჩეკეს და დაზარდეს შვილები.

ხუთი შვილი ჰყავდათ. სამი ვაჟი და ორი ქალი. ორი უფროსი ვაჟიშვილი ომში დაეკარგათ, უმცროსი სწავლას გაჰყვა და ისეთი ხელობა აირჩია, სოფელადგილას ცხოვრება არ ეხერხებოდა და ქალაქში გადასახლდა, ქალიშვილები დათხოვდნენ და დარჩნენ მარტონი მოხუცი ცოლი და ქმარი...მერე კენტად რომ მიუჯდა კერიას, იგრძნო თავადაც ამ ქვეყანას აღარ ეკუთვნოდა, მაგრამ ის ისეთი ფოლადისაგან არ იყო ნაჭედი, დარდსა და სევდას ადვილად რომ გაეტეხა. მხნეობა მოიკრიბა და ჯერ კიდევ უნდა ვიცოცხლოო, უთხრა თავის თავს, ჯერ კიდევ საჭირო ვარო შვილებისა და შვილიშვილებისათვის.

ძველებურად შრომობდა. უვლიდა ვაზს და აყენებდა ღვინოს, ზამთრისთვის ძველებურად ინახავდა ხილსა და ჩურჩხელებს. საქონელი და ფრინველიც კი არ გადააშენა. ოჯახი სავსე ჰქონდა დოვლათით და უხაროდა. ზაფხულობით, ხანაც უქმეებზე ჩამოდიოდნენ შვილები და შვილიშვილები და მაშინ კვლავ ცოცხლდებოდა ეზო და სახლი.

თანდათან შეეჩვია მარტოობას. დარდი და ნაღველი რომ შემოაწვებოდა გულს, საქმეს მიეძალებოდა. ზამთრის გრძელ ღამეებში კი, როცა ძილი არ ეკარებოდა, დიდ ცეცხლს დაანთებდა და მეზობლებს გადასძახებდა. დოქით ღვინოს მოიდგამდნენ ტაბლასთან და გვიანობამდე ბაასობდნენ ბერიკაცები...

სუფთა, ფაქიზი და წესრიგის მოყვარული კაცი იყო. მის ეზო-გარემოში შესვლას არაფერი სჯობდა. უქალობას ვერ შეატყობდით იქაურობას. თავის მოვლაც იცოდა. თავისი დედაკაცის შემდეგ ძვირად რომ ვინმეს ნახელავი მოსწონებოდა. საკუთარი ხელით იმზადებდა საჭმელს, თეთრეულსა და ტანსაცმელსაც თვითონვე რეცხავდა და იკერებდა. მეზობლებს არაფერი ეშურებოდათ მოხუცისათვის, მაგრამ სხვისი შეწუხება არ უყვარდა, შვილებისაც კი ერიდებოდა. ზაფხულობით, როცა ისინი შინ იყვნენ, მოხუცი საგულდაგულოდ მალავდა თავის ჭუჭყიან ნიფხავ-პერანგს, რძალს რომ არ ენახა, მერე ჩუმად გარეცხავდა და სადმე მოფარებულ ადგილას გაკიდებდა გასაშრობად.

ბოლო დროს სიბერემ მთლად დარია ხელი, აღარც მუშაობა შეეძლო, აღარც თავის მოვლა, ახლა უფრო ხშირად ჩამოდიოდნენ შვილები მამის სანახავად და მოხუცმა იცოდა: უკვე ზედმეტი ტვირთი იყო მათთვის. იცოდა ეს და თავის მოვალეობად მიაჩნდა, რაც შეიძლება შეემსუბუქებინა შვილებისათვის ეს ტვირთი, ისე, რომ ოჯახის სირცხვილ-ნამუსიც შეენახა.

ამიტომაც დაჰყაბულდა ქალაქში გადმოსახლებას, თუმცა ამას სიკვდილი ერჩივნა. სურდა მშობლიურ კერაზე მშვიდად გაელია სიცოცხლის დღენი, მეუღლის მხარდამხარ, მამა-პაპათა გვერდით დამარხულიყო, ეს იყო მისი უკანასკნელი სურვილი, სურვილი და უკანასკნელი ნატვრა, მაგრამ თავისი ფიქრები და გრძნობები არ გაუმხელია, უსიტყვოდ აიკრა ბარგი და მის წასაყვანად ჩამოსულ შვილს გაჰყვა. გულში იტოვებდა იმედს, რომ ავადმყოფობის შემდეგ ცოტას მომჯობინდებოდა და გაზაფხულზე კვლავ დაუბრუნდებოდა მშობლიურ კერას.

სახლის კარი რომ გამოიკეტეს, რაღაც უცნაური გრძნობა დაეუფლა, თითქოს საკუთარ თავს ეთხოვებოდა.

სასაფლაოზე სიარული არ უყვარდა, მაგრამ ქალაქში გამგზავრების წინ არ შეეძლო არ წასულიყო. ჩუმად გაიპარა, დიდხანს იჯდა მეუღლის საფლავზე, სადაც სამარე თავისთვისაც უკვე მოზომილი ჰქონდა... „ნუთუ, მის გვერდით დამარხვაც არ მეღირსება“, მერე დედისა და მამის საფლავებიც მოინახულა, აქვე იყვნენ დამარხული მისი სხვა ახლობლებიც — ძმები, ბიძები და ბიძაშვილები...

„ყველანი წავიდნენ, მე ერთიღა დავრჩი იმ ძველი თაობიდან“.

და უცებ გაიფიქრა, რომ მკვდრები უფრო ახლობლები იყვნენ მისთვის, ვიდრე ცოცხლები.

ახლა ეს მისთვის დღესავით ნათელი იყო, მაგრამ ამ აზრმა როდი შეაძრწუნა, პირიქით, სიამოვნებაც კი იგრძნო, რომ ბოლოს და ბოლოს, აღმოაჩინა თავისი სევდისა და მარტოობის ნამდვილი მიზეზი, ახლა როგორღაც თვით სიკვდილიც ახლობელი და სასურველი ჩანდა...

მერე უფრო ღრმად რომ დაფიქრდა ყოველივე ამაზე, შერცხვა: რატომ უნდა ეგრძნო მარტოობა, რატომ უნდა ეგრძნო თავი უცხოთა შორის, როცა გარს შვილები და შვილიშვილები ეხვივნენ? ნუთუ საკუთარი სისხლი და ხორცი უნდა ეუცხოებოდეს? ეს ღვთის გმობას ჰგავდა, მაგრამ ის პატიოსანი კაცი იყო და თავს ვერ მოიტყუებდა..

შვილები სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ, სამდურავი არ ეთქმოდა, მაგრამ ისიც იცოდა: შვილები პატივს სცემდნენ არა იმ ჩაჩანაკ ბერიკაცს, როგორიც ახლა იყო, არამედ იმ ვაჟკაცი მამის ხსოვნას, რომელიც იმედად ადგათ თავზე და რომელმაც ისინი აღზარდა და დაავაჟკაცა. ეს ისე იყო, როგორც გარდაცვლილი ახლობლის საფლავს ან სურათს ვცემთ ხოლმე პატივს.

ასე დარჩა მოხუცი ამქვეყნად მარტოდმარტო, ცასა და მიწას შორის გამოკიდებული, და ყველაზე ძნელი ასატანი ის იყო, რომ ამას ვერავის ვერ შესჩივლებს, ვერავის ვერ უსაყვედურებს, ვერც ბედს დაემდურება.

მოხუცს სურდა, ის მაინც სცოდნოდა, რატომ მოხდა ასე, რატომ დარჩა მარტოდმარტო, ყველასგან მიტოვებული და დავიწყებული?!..

არა, ეს სიბერის მიზეზი არ იყო, ალბათ დრომ მოიტანა, თორემ მის წინაპრებს ასეთი რამ არასოდეს არ დაემართებოდათ, მისმა მამამაც ღრმა სიბერემდე იცოცხლა, სიკვდილის წინ მთელი ორი წელი ლოგინად იყო ჩავარდნილი, მაგრამ შვილებს ზედმეტ ტვირთად დავრდომილიც არ ჩაუთვლიათ. არც თვითონ მას მიაჩნდა ზედმეტად თავი ოჯახში. ცალი ფეხი სამარეში ედგა, მაინც საამქვეყნო საქმეებზე ეჭირა თვალი. რჩევა-დარიგებებს აძლევდა შვილებს და ასრულებდნენ კიდეც მის რჩევას. ჭიშკართან დიდი მსხალი რომ დგას, ხმელი ტოტები გამოაცალეთ, თორემ ადრე შეუდგებაო სიბერე; სანამყენეებისთვის საძირეების გადარგვა არ დაგავიწყდეთო; შავი ულაყი აუცილებლად დაკოდეთ ამ შემოდგომაზე, თორემ გაველურდება და მერე ველარ დაიურვებთო.

კვდებოდა კაცი და ისე მშვიდად, მტკიცედ და გულდაჯერებით იბარებდა ყოველივე ამას, თითქოს რამდენიმე დღის შემდეგ ისევ უნდა დაბრუნებულიყო და შეემოწმებინა, როგორ შეასრულეს მისი მითითება.

ეს იმიტომ, რომ ის სიკვდილის მიღმა იყურებოდა. სწამდა, მის შემდეგაც ყველაფერი ისე იქნებოდა როგორც მის სიცოცხლეში იყო, იქნებოდა არა მარტო ეს ცა და მიწა, მზე და ვარსკვლავები, არამედ მისეული ფუძე და კერაც, იქნებოდნენ მისი შვილები და განაგრძობდნენ მამის საქმეებს.

ასე იყო საუკუნით საუკუნემდე. იცვლებოდნენ თაობები, უცვლელი იყო ცხოვრების წესი და კანონი: მამები მიდიოდნენ და შვილები რჩებოდნენ მამის ნაფუძვარზე, აღვივებდნენ მამის დანთებულ ცეცხლს, პირს უწყობდნენ მამისეულ იარაღს, უვლიდნენ მამის ჩაყრილ ვაზს, ზრდიდნენ მის დარგულ ნერგს...

ჩვენს მოხუცს ეჩვენებოდა, რომ ცხოვრების ეს წესი ერთბაშად შეიცვალა. ახლა შვილებს აღარაფერი სჭირდებათ მშობლებისა. აი აქ, ამ სახლში, ერთი ჭიქა, თიხის უბრალო ჯამიც კი არ არის მამისეული.

რას უტოვებს შვილებს? სიცოცხლეს? მაგრამ სიცოცხლეს ხომ ხეებიც გადასცემენ შთამომავლობას, თუმცა მათ არაფერი გაეგებათ და ალბათ ვერც გრძნობენ ამას, მას კი სურდა საფლავშიც ცხადად და ხელშესახებად ეგრძნო, როგორც ტკივილსა ვგრძნობთ ხოლმე, რომ მისი შვილები მის ფესვებზე იყვნენ ამოცენებული. უნდოდა მათ მამისეულ კერაზე, მისი საფლავის მიწაზე დგმოდათ ფეხი, სურდა საფლავში ჩაეტანა, ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ იცხოვრებდნენ მისი შვილები მის შემდეგ, მაგრამ როგორ უნდა ევარაუდა მოხუცს, რა იქნებოდა მისი სიკვდილის შემდეგ, როცა ახლაც არ იცოდა, როგორ ცხოვრობდნენ ისინი?

მისი ვაჟიშვილი ცნობილი მეცნიერი იყო და მის საქვეყნო ღვაწლზე ხშირად წერდნენ გაზეთები, ლაპარაკობდნენ რადიოთი და ტელევიზიით, მაგრამ მოხუცს არაფერი გაეგებოდა მისი საქმეებისა. მამა და შვილი უცხოებივით იყვნენ ერთმანეთისათვის.

და მაინც მოხუცი თავს ძალას ატანდა და ცდილობდა წარმოედგინა, როგორი იქნებოდა ეს ქვეყანა, როცა თვითონ აღარ იქნებოდა ცოცხალი.

ბევრი რამ შეიცვლებაო, ადამიანები მთვარესა და სხვა პლანეტებზე იმოგზაურებენო. მაგრამ ეს მას სულაც არ აინტერესებდა, მისი ფიქრი კვლავ და კვლავ მიწის იმ მცირე მონაკვეთს დასტრიალებდა, რომელზეც პირველად დაადგა ფეხი და რომელშიც მისი ფესვები იყო ჩარჩენილი.

დღეს შვილებს არაფრად უღირთ არც ეს მიწა, არც ის ნაშრომი და ნაამაგარი, რასაც მათმა მშობლებმა მთელი სიცოცხლე შეალიეს. იქნებ მოხუცმა იცოდა კიდეც რომ დრო შეიცვალა და ახლა მამა შვილს კი არა, მამები შვილებს, თაობები თაობებს უტოვებენ თავიანთ მონაპოვარს, იქნებ იცოდა, რომ დღეს სადმე ოკეანის გაღმა კიბოს საწინააღმდეგო წამალი რომ აღმოეჩინათ, ხვალ იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილება გახდებოდა, მაგრამ ამის შეგნება მის გრძნობებზე არ ვრცელდებოდა. ყოველივე ზოგადი მოხუცისათვის ბუნდოვანი, გაუგებარი და მიუწვდომელი იყო. მთელი ქვეყნიერება რა მისი სადარდებელია! მას თავისი დარდიც ეყოფა: რა ეშველება უპატრონოდ მიტოვებულ მის სახლ-კარსა და გაცივებულ კერას, ვინღა მოუვლის მის ნაფერებ ვაზსა და ხეხილს, ვინღა მიხედავს უჭირისუფლოდ დარჩენილ საფლავებს?

გარეთ კვლავ წვიმდა, ქროდა ქარი და წვიმის მსხვილი წვეთები ეშხაპუნებოდა ფანჯარას.

ზამთრისპირი იყო.

იჯდა მოხუცი ფანჯარასთან, ყურს უგდებდა წვიმის ნაღვლიან სიმღერას და რწევითა და ტაატით მიჰყვებოდა სადავე მიშვებულ ფიქრებს.

ვინ იცის, იქნებ ახლა წვიმდეს სოფელში,.. არა, ალბათ თოვს... დასავლეთ საქართველოში თოვა იქნებაო, ტელევიზიით გამოაცხადეს, მოხუცი ყოველ საღამოს ყურადღებით ისმენდა ამინდის ბიუროს ცნობას და ეს საეჭვო ინფორმაცია როგორღაც მიწისა და სოფლის სიახლოვეს განაცდევინებდა.

თოვს ალბათ ახლა სოფელში. თოვს და რძისფერ ბურუსშია გახვეული გარშემო მთები. ვინ იცის, იქნებ მთელ ღამეს თოვდა წუხელ და მუხლამდე დაედოს თოვლი, თოვლით იყოს გადაპენტილი მიდამო და კვლავაც თოვდეს.

სხედან ალბათ მისი მეზობლები და სახლიკაცები ცეცხლისპირს და ბაასობენ აქითურ-იქითურზე, გარეთ კი თოვს და ცას ეფინება ბუხრებიდან ამომავალი კვამლი. ვიღაც აივლის, ვიღაც ჩამოივლის და მკვეთრად ეტყობა ნაფეხურებით გავლებული ბილიკები დანათოვარზე.

ბილიკები შარაგზებიდან შუკებსა და ეზოებში უხვევენ, ჭიშკრიდან სახლისაკენ, სახლიდან ჭისაკენ, ბოსლიდან თივის ზვინისაკენ მიემართებიან.

მისი ეზოსაკენ კი აღარ უხვევს ბილიკი, მის ბუხარში აღარ ანთია ცეცხლი. თოვლს, სიცივეს და მდუმარებას მოუცავს ირგვლივ ყველაფერი. თოვლი სქლად დასდებია ღობეს, ჭიშკარს, სამეზობლო ალაგეს, ჭის გვიმს, კიბის საფეხურებს, აივნის მოაჯირს. გათამამებული ბეღურები თავისუფლად დანავარდობენ სხვენსა და წინკარში, სახლის უკან შაშვები ესევიან წერილ ხურმას.

იჯდეს იქნებ მშიერი და სიცივით აკანკალებული მისი ბებერი ნაგაზი ოდა-სახლის აივანზე და მოთმინებით ელოდეს პატრონს. მერე გამოივლის რომელიმე მეზობელი და სამოწყალოდ გადაუგდებს ერთ ნატეხ მჭადს.

ეს რომ წარმოიდგინა, ისე ძალიან მოენატრა იქაურობა, რომ ნატვრა ტკივილად იქცა.

რას არ გასწირავდა, ოღონდ ერთი წუთით, მხოლოდ ერთი წუთით მჯდარიყო ბუხრის წინ და ნაკვერცხალზე მოეკიდებინა პაპიროსი!

სიმწრისა და უმწეობისაგან სული შეეხუთა და გმინვა აღმოხდა.

ეჰ, სიბერეს რა ვუთხრა, თორემ ერთი წუთით არ გაჩერდებოდა ქალაქში, დაჰკრავდა ფეხს და ახლავე წავიდოდა შინისკენ, იქნებ ვერც სიბერეს დაეკავებინა, მაგრამ სირცხვილ-ნამუსს სად გაექცევა: რას იტყვის ხალხი, რას იფიქრებენ შვილები?

წასვლა კი არა, ამ ნატვრის ხმამაღლა წარმოთქმის უფლებაც არა ჰქონდა.

რა უნდა, სად მიდის, სად მიეჩქარება, საით მიურბის ფიქრები? აკლია რამე?

ერთადერთი, რაც ყველას გასაგონად შეეძლო დაეჩივლა, მოწყენილობა იყო. თითქმის მთელ დღეს მარტო რჩებოდა შინ, ოთხ კედელშუა გამოკეტილი. შვილი და რძალი სამსახურში იყვნენ, შვილიშვილები — უფროსები სკოლაში დადიოდნენ, უმცროსები — საბავშვო ბაღში. სულ პატარას, ოთხი წლის ბიჭუნასაც კი არ უტოვებდნენ. რძალი ეუბნებოდა, შეგაწუხებსო და თანხმობის ნიშნად მოხუციც ჩუმდებოდა, თუმცა კარგად იცოდა, რატომაც არ უტოვებდნენ: ძალიან ბებერი იყო და არ ანდობდნენ.

ისიც იძულებული იყო მარტო დარჩენილიყო, ფანჯრის წინ ჭადარზე შემოფრთხიალებულ ბეღურებს უთვალთვალებდა და ულიმოდა: „თქვენ მაინც რა გრჯიდათ, ქალაქში რამ გადმოგასახლათ, თქვე კარგებო“.

ამ უბნის მცხოვრებლები ყოველდღე ხედავდნენ მოხუცს და იცნობდნენ. ზოგმა იცოდა, რომ იგი ცნობილი კაცის მამა იყო, ზოგმა არც ეს იცოდა, მაგრამ ყველა სიყვარულითა და მოწიწებით შეჰყურებდა მას. იყო რაღაც დიადი და მომხიბვლელი მოხუცის გარეგნობაში, რაც ამ გრძნობებს ბადებდა.

შვილს ეცოდებოდა მოხუცებული მამა. თავისუფალ დროს გვერდით მიუჯდებოდა და ცდილობდა საუბარი გაება მასთან, მაგრამ როგორღაც არ გამოუდიოდა. „მოგეწყინა, მამი?“ — ხშირად ჰკითხავდა და გრძნობდა ეს სიტყვები ოდნავადაც ვერ გამოხატავდა იმას, რაც მოხუცის გულში ხდებოდა.

გარკვევით თვითონ მოხუციც ვერ გეტყოდათ, რა აწუხებდა. ეს იყო მარტოობის, უთვისტომობისა და მიუსაფრობის მტანჯველი გრძნობა. ის არ ერია ამ ცხოვრების ორომტრიალში, ის ყველასათვის უცხო იყო და ამის გამო იტანჯებოდა.

მან გაიარა თავისი გასავლელი, გააკეთა თავისი გასაკეთებელი და ახლა უფლება ჰქონდა ამ წუთისოფლის გულგრილი მეთვალყურე ყოფილიყო. მაგრამ არ სურდა და არც შეეძლო ასე ცხოვრება.

განა ღირს იმისათვის სიცოცხლე, გულხელდაკრეფილი იჯდე და ელოდო, როდის დარეკავს აღსასრულის ჟამი!

მოხუცს არ სურდა ლოდინი. ახლა მთელი მისი გულისყური მიპყრობილი იყო წარსულისადმი, სადაც დატოვა ყველაფერი, უკანასკნელი ამოსუნთქვის გარდა.

წვიმამ გადაიღო და ახლა ოთახში უფრო მკვეთრად ისმოდა დიდი საათის თანაბარი „ტაკ-ტუკ... ტაკ-ტუკ“.

მოხუცმა შეხედა საათს და დაფანჩული წარბების მოძრაობით რაღაც მრისხანებისა და მუქარის მაგვარი გამოხატა.

მას ჭირივით სძულდა ეს საათი. იქ, სოფელში, მუდამ მზე და ვარსკვლავები იყო მისთვის დროის საზომი და ახლა ეგონა, რომ სწორედ ეს საათი აუფერულებდა და გემოს უკარგავდა დღესა და ღამეს.

ახლა განსაკუთრებით შემაწუხებლად ეჩვენებოდა, პირდაპირ ტვინში ურტყამდა საათის ტიკ-ტიკი. და მოხუცი მიხვდა, ეს მარტო საათის ბრალი არ იყო, დღეს თავს ადრინდელზე უარესად გრძნობდა, თავბრუ ესხმოდა, ცივ ოფლს ასხამდა მალიმალ და გულიც თითქოს გაჩერებას უპირებდა.

„მგონი, სიკვდილი მოვიდა“, — ეს რომ გაიფიქრა, შეეშინდა: ახლა, ამ წუთს, ასეთ ვითარებაში სრულიად არ იყო საჭირო სიკვდილი. მისი აზრით, ეს მეტად უცნაური და მოუმზადებელი იქნებოდა. მას კი სურდა ამ წუთისოფლის უკანასკნელი ვალიც ისე უბრალოდ და პატიოსნად მოეხადა, როგორც მთელი სიცოცხლე გაატარა. არ უნდოდა მარტოდმარტო გამოსთხოვებოდა სიცოცხლეს, ისე, რომ უკანასკნელი სათქმელი არ ეთქვა შვილებისათვის.

მთავარი მაინც ის იყო, რომ ჯერ არ აპირებდა სიკვდილს. გულში იტოვებდა იმედს, როგორც ასანთის უკანასკნელ ღერს, რომ გაზაფხულამდე იცოცხლებდა, ხოლო გაზაფხულზე სოფელში დაბრუნდებოდა. მერე კი იქიდან ალბათ აღარც მოუწევდა აქეთ წამოსვლა, თავის წინაპართა და მეუღლის გვერდით იპოვიდა საბოლოო განსასვენებელს.

მაგრამ, ეტყობა, გაზაფხულამდე არ დააცლის სიკვდილი.

„თუმცა ვინ იცის, იქნებ ასეც ჯობდეს“, — ახლა სიკვდილის მხარე დაიჭირა მოხუცმა: აკი ბოლო დროს სულ იმის შიში ჰქონდა, სიკვდილის წინ ლოგინად არ ჩავვარდეო, არ შევაბეზრო და შევაძულო შვილებს თავი... „ჰოდა, ასე სჯობს, უცებ დამთავრდება ყველაფერი, ისინიც მოისვენებენ და მეც“...

იქნებ ეს ახლავე მოხდეს. ვერ არის კარგად... შვილს ხომ არ დაურეკოს სამსახურში?.. ან იქნებ ჯობდეს სასწრაფო დახმარება გამოიძახოს? აკი რძალმა დაუბარა, თუ ცუდად შეიქნე სასწრაფო დახმარება გამოიძახეო, ნომერიც დაუტოვა. დიდი ასოებით დაუწერა თაბახის ფურცელზე — „03“ და იქვე ბინის ზუსტი მისამართიც მიუწერა. რამდენიმე დღეს ეგდო მაგიდაზე ეს ფურცელი და მოხუცს სიკვდილის ემბლემასავით ეშინოდა და ზარავდა მისი დანახვა. ბოლოს ქაღალდი დახია და გადააგდო. მაგრამ ტელეფონის ნომერი და შვილის სახლის მისამართი კარგად დაახსომდა... რძალი ჭკვიანი და თადარიგიანი ქალია, ალბათ შეატყო, საჭირო გახდებოდა დარეკვა... ახლავე ხომ არ დაურეკოს სასწრაფოს? არა, ჯერ ცოტას წამოწვება და დაისვენებს. იქნებ მომჯობინდეს. მანამ კი თავი უნდა მოიყვანოს წესრიგში და კარიც ღრიჭოდ დატოვოს. ვინიცობაა, მართლაც ექიმის გამოძახება დასჭირდეს, მისამართს მისცემს, დაუბარებს და თვითონვე შემოვა...

ბანცალ-ბანცალით გაიარა დერეფანი და გაჭირვებით გადასწია საკეტი, მერე შემობრუნდა, ფაჩუჩები გაიძრო და გაუხდელად წამოწვა ტახტზე. თავი უბრუოდა და თანდათან უმძიმდებოდა, ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს უზომოდ გასივებოდეს თავი. ახლა ამას ხელის შეხებითაც კარგად გრძნობდა. უნდოდა ამდგარიყო და სარკეში ჩაეხედა, მაგრამ ძალა არ შესწევდა... სარკე კი არა და, ახლა სასწრაფოში დარეკვა იყო საჭირო. ტელეფონი აქვეა, დაბალ მაგიდაზე. შეიძლებს კი იქამდე მისვლას?.. როგორმე უნდა შეძლოს. მაგრამ კარი?.. კარს ვინ გაუღებს ექიმს? მგონი, ღრიჭოდ დატოვა, ნუთუ არ გაუღია? ტელეფონამდე მისვლა და დარეკვა რომ შეძლოს, კარებამდე მისვლას მაინც ვერ შეძლებს, ან იქნებ დარეკვა სულაც არ იყოს საჭირო და ჯობდეს კარიც დაკეტილი იყოს...

ვერა და ვერა, ვერასგზით ვერ გაიხსენა, გადასწია თუ არა საკეტი და ვერც ის გადაწყვიტა, როგორ ჯობდა: კარი ღიად დაეტოვებინა და სასწრაფოში დაერეკა, თუ — არა.

ამ ფიქრმა ისე შეაწუხა, თითქოს ყველა მისი დარდი და საზრუნავი ამაზე დამდგარიყოს.

მოხუცმა თავს ძალა დაატანა და წამოიწია, მაგრამ წამოდგომა ვერ შეძლო. ერთბაშად ჭერი შექანდა, შეტორტმანდა და მოხუცი მოწყვეტით დაეცა საწოლზე. შეიძრა კედლები, იატაკი. ყველაფერი აირია და დატრიალდა გარშემო. მოხუცმა თვალები დახუჭა და ახლა თვითონაც დაიძრა და თავბრუდამხვევი სისწრაფით გაექანა სადღაც ქვემოთ, მერე ზემოთ, მერე ისევ ქვემოთ...

„ნუთუ სიკვდილი მოვიდა?“ — გაუელვა თავში, მაგრამ როგორღაც ეს სიკვდილს არ ჰგავდა. ეს უფრო ტკბილი სიზმარივით იყო. აღარც ტკივილს გრძნობდა, აღარც დარდი ჰქონდა რისამე. უჩვეულო სიმსუბუქით მიექანებოდა და მიექანებოდა სივრცეში. ჩაუქროლა ღრუბლებს, ვარსკვლავებს, ლურჯი ცა და უთვალავი ვარსკვლავები იყო ირგვლივ და აღარსად არ ჩანდა მიწა...

შვილმა სულ ცოტა დაიგვიანა. ორიოდე წუთით ადრე რომ მოსულიყო, მამა ცოცხალი დახვდებოდა.

დილით ლექციები ჰქონდა უნივერსიტეტში, შემდეგ ინსტიტუტში უნდა გამოევლო, მაგრამ არ წასულა, დაღლილი იყო და პირდაპირ შინისკენ გამოსწია.

იცოდა მამა მარტო იქნებოდა შინ და მიიჩქაროდა. ესიამოვნებოდა მოხუცთან განმარტოება, სხვები — ცოლი და ბავშვებიც კი — ხელს უშლიდნენ, მათი თანდასწრებით როგორღაც გულითადი საუბარი არ გამოუდიოდათ მამა-შვილს.

ზარი დარეკა და როცა კარის გაღება დაუგვიანეს, თითქოს რაღაც იგრძნო, გულმა რეჩხი უყო.

კიდევ დარეკა. სახლში ჩამიჩუმი არ ისმოდა.

„ალბათ ჩაეძინა“, — გაიფიქრა და შეაყოვნა, აღარ დარეკა, არ უნდოდა ძილი გაეფრთხო ბერიკაცისთვის.

მცირე ხანს იდგა, მერე უნებურად გასაღები მოძებნა ჯიბეში და სახელურს წაეტანა, კარი თავისით შეიღო.

ამ უბრალო მოულოდნელობამ უფრო აალელვა და შეაშფოთა — მოხუცი არასოდეს კარს ჩაუკეტავს არ ტოვებდა.

— მამა, საით ხარ, კარი ღიად დაგირჩენია! — დერეფნიდანვე შესძახა მან, ვითომ იმ მიზნით, უცაბედად თავზე რომ დავადგე, არ შევაშინოო, უფრო კი სხვა შიში ჰქონდა...

პალტო გაიხადა და სასტუმრო ოთახში შევიდა.

მოხუცი ტახტზე მოკალათებულიყო ჩვეულ პოზაში, როგორც ძილის დროს იცოდა ხოლმე: მარჯვენა გვერდზე იწვა ოთხად მოკეცილი, გამხდარი მუხლები თითქმის მკერდამდე მიეტანა, ერთმანეთზე გადაჭდობილი მკლავები ჯვარედინად შემოეწყო მხრებზე, თითქოს საკუთარი სხეული ჩაუხუტებიაო. ასე უყვარდა დაძინება მამას, ოღონდ ახლა უფრო მობუზული და დაპატარავებული ჩანდა.

შეხედა და მაშინვე მიხვდა, ცოცხალი აღარ იყო. თუმცა არაფრით არ ჰგავდა მკვდარს. ისეთი მშვიდი და უდრტვინველი გამომეტყველება ჰქონდა, უნებურად რიდი გაგიჩნდებოდა, არ გავაღვიძოო.

მამის საწოლთან რომ დაიხარა და დარწმუნდა, მოხუცი არ სუნთქავდა, უცნაურმა გარინდებამ და შიშმა მოიცვა, თითქოს მარტოდმარტო დარჩენილიყოს ამ უკაცრიელ და უდაბნოდ ქცეულ ქვეყანაზე.

მერე, ცოტა რომ დამშვიდდა, ახლო მიუჯდა მკვდარ მამას და სახეზე დააკვირდა — უნდოდა მისი სულის უკანასკნელი მოძრაობა ამოეკითხა... და თუმცა მამის სახე არც საყვედურს, არც წყენას არ გამოხატავდა, შვილმა იცოდა: გულნაკლული წავიდა მამა. „მარტოდმარტო როგორ გამოეთხოვე სიცოცხლეს, იქნებ მეძახდი, ვინ იცის, რა გქონდა სათქმელი“.

საცოდავად მოკუნტული და მობუზული იწვა ბერიკაცი, თითქოს სცივაო. შვილი ადგა, საბანი მოიტანა და გადააფარა.

მოხუცი ახლა უფრო დაემსგავსა მძინარეს და შვილს უცნაური სურვილი დაებადა, მისულიყო და მიჰფერებოდა მამას.

ფრთხილად შეეხო საყვარელ სახეს და შუბლზე აკოცა. მოხუცი ჯერ ისევ თბილი იყო, ხელებიც კი თბილი ჰქონდა. მაგრად ჩაიხუტა მამის ხელები და იგრძნო — არასოდეს მამა ასე ძვირფასი და ახლობელი არ ყოფილა მისთვის, როგორც ამ წუთს. არც კი ეგონა, თუ ასე ძლიერ უყვარდა: ახლა ამ სიყვარულში ჩაქსოვილი იყო ის გზნება და სინაზე, ათიოდე წლის ბიჭუნას რომ ჰქონდა მამისადმი და ის სიბრძნეც, მოწიფულობაში მამისადმი პატივისცემას რომ შთააგონებდა.

აი ეს ხელები იყო მისი პირველი იმედი და პირველი რწმენა, იხუტებდა მოხუცის ხელებს და კოცნიდა. არ უნდოდა ეს ექნა. ალბათ თვით მამაც არ მოუწონებდა ამას, მაგრამ არ შეეძლო თავი შეეკავებინა. რაღაც ძალა იზიდავდა მამისაკენ. ეს მარტო სიყვარული კი არ იყო, ეს იყო ტკივილი, დარდი, სინანული იმის გამო, რაც მამისათვის უნდა ეთქვა და თავის დროზე ვერ უთხრა, იმის გამო, რაც უნდა გაეკეთებინა და ვერ გაუკეთა.

ახლა მამა ცოცხალი რომ ყოფილიყო, სულ სხვანაირად მოეპყრობოდა. დაუჯდებოდა და საათობით ესაუბრებოდა ბავშვობის უნეტარეს დღეებზე, ასე ნათლად რომ იყო ჩარჩენილი მის მეხსიერებაში. გაახსენებდა შემოდგომის იმ წვიმიან ღამეს, დედულეთიდან რომ მოდიოდნენ ცხენით მამა და შვილი. მოუყვებოდა, რას ფიქრობდა მაშინ მამის უბეში, ნაბადქვეშ შეყუჟული პატარა ბიჭი და როგორ უყვარდა მამა.

მერე გაიხსენებდნენ კიდევ ერთ ბედნიერ დღეს, როცა ბალი ის-ის არის იწყებს მწიფობას, მაისის მზე ქვე-ქვე უჭვრეტს და ეალერსება შეწითლებულ ბალის კუნწულებს. მამის მხრებზე შემდგარი ბიჭი მსხმოიარე ტოტს ეპოტინება, შიშველი ფეხისგულებით გრძნობს მამის სხეულის სითბოსა და ძალ-ღონეს და ასე ჰგონია, ამ კუნწულას კი არა, ცას მისწვდება ხელით.

მერე და მერე მამასთან დაკავშირებული მოგონებები უფრო მკრთალი და ბუნდოვანი იყო: როცა წამოიზარდნენ და დავაჟკაცდნენ, შვილები თანდათან დაშორდნენ მამას, მამა სულ უფრო ნაკლებად ერეოდა შვილების საქმეებში, თუ არ შეეკითხებოდნენ, რჩევა-დარიგების მიცემასაც კი ერიდებოდა, იგი თავის მოხუც დედაკაცთან განმარტოვდა და განცალკევდა, ხოლო როცა დედა გარდაიცვალა, მამა სრულიად მარტო დარჩა.

შვილი კარგად ხედავდა ამას, მაგრამ არაფერი შეეძლო ეღონა და რაღაც სირცხვილის გრძნობასავით გაუჩნდა მამისადმი. თვითონ მოხუციც დამორცხვებულივით იყო შვილებთან, თითქოს ბოდიშს იხდიდა თავისი უსარგებლო არსებობის გამო.

და ახლა, როცა მამა ცოცხალი აღარ იყო, შვილს ეჩვენებოდა, რომ მოხუცს საჭირო გულისხმიერებით არ ეპყრობოდა.

მაგრამ არც სინანული, არც მწუხარება, საყვარელი ადამიანის დაკარგვით გამოწვეული, არ იყო მთავარი, რაც ახლა მის გულში ხდებოდა. მოხდა უფრო დიდი და მნიშვნელოვანი, რამაც მთელი მისი არსება შეძრა და მოიცვა, რაღაც გათავდა, რაღაც ჩაქრა მის გულში.

ასეთი განცდა ჰქონდა მაშინაც, დედის გარდაცვალების ამბავი რომ გაიგო, ერთბაშად დაბნელდა მისეული სამყარო და მარტოდმარტო აღმოჩნდა წყვდიადში.

მერე დედის ცხედართან უკანასკნელად რომ იყო დამხობილი, უცებ კვლავ აინთო გულში ჩამქრალი შუქი და რაღაც სიხარულისმაგვარი უცნაური და ბუნდოვანი გრძნობა გაუჩნდა.

მაშინ იგი ვერ მიხვდა, რა იყო ეს. ახლა კი იცოდა: დედის სული გადმოდიოდა მასში და ძალითა და მხნეობით ავსებდა.

ეს რომ გაიხსენა, სიმშვიდე დაუბრუნდა. ეჭირა მამის ხელები და გრძნობდა, როგორ ცივდებოდნენ ისინი და როგორ გადმოდიოდა მის სხეულში ამ ხელების სითბო.

და მან იცოდა: ამიერიდან მამა თვით მასში იცოცხლებდა.

იცოცხლებდა მხოლოდ ხსოვნაში კი არა, არამედ თვით მასში, მის სისხლსა და ხორცში, მის ჩვევებსა და ხასიათში, შვილებისა და შვილიშვილების გამოხედვასა და მოძრაობაში, მათს საქმეებში.

შვიდი წლის წინათ დედა დაასაფლავა: ახლა სამუდამოდ წავიდა მამაც. წინათ რამეს რომ აკეთებდა, იქნებ მშობლებისთვის არც არაფერი ეკითხა, მაგრამ ყოველთვის გაიფიქრებდა: „გაუხარდება დედას, მოეწონება მამას?“ ეს რაღაც იმედივით იყო, ამიერიდან კი მან მარტო თვითონ უნდა აგოს პასუხი ყველა თავის მოქმედებაზე. თვითონვე უნდა ივარაუდოს და გადაწყვიტოს, გაუხარდებოდა თუ ეწყინებოდა დედას, მოუწონებდა თუ დაუწუნებდა მამა.

შვილის ფიქრი კვლავ მშობლიურ კერას გადასწვდა. სურდა წარმოედგინა დედა და მამა შინ, თავიანთ კარ-მიდამოში მოფუსფუსენი, მაგრამ ვერასგზით ვერ შეძლო. ამაზე რომ ფიქრობდა, თვალწინ დაუდგებოდა უპატრონოდ მიტოვებული ეზო და სახლი, გაცივებული კერა და ბუხარი.

ალბათ თოვს ახლა სოფელში. ათოვს სახლებს, ეზოებს, ჭიშკრებს, ღობეებს, ათოვს ოდა-სახლის დიდ კიბეს, სადაც ზაფხულობით მამას უყვარდა დაჯდომა... ზის იქნებ აივანზე სიცივით აკანკალებული ბებერი ნაგაზი და ამაოდ ელის პატრონს.

მერე ეს დიდთოვლობაც გაივლის, წავა ზამთარი და მოვა გაზაფხული, სახლის პატრონი კი არ დაბრუნდება, აღარც მერცხლები დაუბრუნდებიან ძველ ბუდეებს.

ფიქრობდა შვილი ყოველივე ამაზე და არ იცოდა, რომ ეს ფიქრები გაგრძელება იყო იმ ფიქრებისა, რომლებიც ის-ის იყო ჩაქრა მამის გულში და იმათიც, მამამ თან რომ ჩაიტანა საფლავში.





თ. ხუთიშვილის ხ.



დიდი ხანია ჩვენმა ქვეყანამ მოიშუშა ომის მძიმე წლებში მიყენებული ჭრილობები. დიდი ხანია დავიწყებას მიეცა ქვემეხთა ქუხილი და ნგრევის ხმები, მაგრამ ხალხის მეხსიერებიდან არასდროს წაიშლება ფაშიზმის მსხვერპლთა სახელები, იმათი ნათელი ხსოვნა, ვინც თავისი სიცოცხლის ფასად მშვიდობა და ბედნიერი მომავალი მოგვიტანა. გმირთა უკვდავსაყოფად საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა მხარეში შეხვდებით საძმო საფლავებსა და მემორიალურ ძეგლებს, სადაც მარმარილოს ფილებზე სამარადჟამოდ ამოკვეთილია სამშობლოსათვის დაღუპულთა სახელები.



ყოველთვის ხალხმრავლობაა კრემლის კედელთან დაკრძალული უცნობი ჯარისკაცის საფლავთან. აგერ, ჩვენი სამშობლოს დამცველები, ოთხმოციანი წლების მეომრები ნიშნად ღრმა პატივისცემისა უცნობი ჯარისკაცის საფლავთან ხრიან საომარ დროშებს; ვინ იცის, იმ დიდ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მის გვერდით დაღუპულ რომელ თანამებრძოლს იხსენებს უცნობი ჯარისკაცის საფლავთან მუხლმოყრილი, მრავალ ბრძოლაში გამარჯვებული სამამულო ომის ვეტერანი.

## გახსენება

# სულით ძლიერნი

იმ დღეს მარიამი ჩვეულებრივად ადრიანად მოვიდა ქალიშვილთან. ჯემალიც იქ დახვდა. შვილები რაღაც განსაკუთრებული სიყვარულით შეეგებნენ, მოიკითხეს. მერე ჯემალმა მამამისის ფოტოსურათი აჩვენა: გუშინ მივიღე ყაზანიდან, ვინმე ხალილოვი გვიგზავნის, იწერება, მამაშენთან ერთად ვიბრძოდი ფინეთში, წითელი ვარსკვლავის ორდენიც ერთად გადმოგვცა მიხეილ კალინინმა მოსკოვში, მერე მინსკში ერთ ნაწილში ვმსახურობდით, ომის დაწყების დღეს ჩვენს სამხედრო კლუბში შევიარეთ, ივანემ თავისი სურათი მისახსოვრა, იქნებ ეს ფოტო თქვენ არა გაქვთ და გიგზავნითო...

მარიამს თვალები ცრემლებით აევსო. სიყვარულით დასცქეროდა მეუღლის ფოტოს. ახსოვს, კარგად ახსოვს ეს ფოტო, ასეთივე სურათი ქალაქის სამხედრო კლუბში საპატიო დაფაზე იყო გამოკრული. რა ბედნიერები იყვნენ მაშინ!

ომი დაიწყო და ყველაფერი აირია. შემზარავია იმ დროის გახსენება. მარიამი ფეხმძიმედ იყო, დღე-დღეზე უნდა მორჩენილიყო. ივანემ ოცდაორშივე ურჩია თბილისში გამგზავრება, მაგრამ ქალს შეეშინდა, ამხელა გზაზე ორი მცირეწლოვანი ბავშვით მარტოკა როგორ ვიმგზავროო — ჯემალი მაშინ სამი წლისა იყო, გივი კი რვა წლისა.

24 ივნისს, როცა ფაშისტების თვითმფრინავები სულ დაბლა ფრენდნენ და ქალაქს ბომბავდნენ, მარიამმა ქმარს უარი ვეღარ უთხრა და საევაკუაციოდ გამზადებულ მანქანაში ჩაჯდა. კოლონა დაიძრა, სულ რაღაც ორმოცდაათი კილომეტრი არ ჰქონდათ გავლილი, რომ მტრის თვითმფრინავები თავს დაესხნენ, საშინელი ამბავი დატრიალდა. ქალების, ბავშვების წივილი, კვნესა, ტირილი არემარეს აყრუებდა. მარიამს ის კი ახსოვს, მანქანიდან როგორ გადმოხტა, ბავშვებს ხელი ჩაჰკიდა და ტყისაკენ გაიქცა, მერე კი გონება დაკარგა.

თვალი რომ გაახილა, მის ფეხებთან ახალშობილი ბავშვი ტიროდა. ჰაერში ისევ დაფრინავდნენ გერმანელთა თვითმფრინავები და დედამიწაზე სიკვდილს თესავდნენ. მარიამმა ტკივილები დაძლია, ორივე ბავშვს ხელი ჩაჰკიდა და დიდი წვალებით ტყე-ტყე გზას გაუდგა. რამდენიმე ათეული მეტრი გაიარეს, პატარებს თვალი სულ უკან რჩებოდათ. ქალი მწუხარებისაგან გაქერპებულიყო და აღარაფერი ახსოვდა.

— დედი, — შემოესმა გივის ხმა, — იცი, გოგო იყო, ჩვენი და, ნუ მივატოვებთ, წავიყვანოთ რა? — ტირილით სთხოვდა ბავშვი.

მარიამი ახლა მოეგო გონს. უცებ უკან სირბილით შემოტრიალდა, ბავშვებიც დედას გამოეკიდნენ. როგორც იყო, იმ ადგილს მიაგნეს, ჩვილი ისევ ღნაოდა. ქალმა ხის დიდი ფოთლები დაკრიფა, პერანგი შემოიგლიჯა, პატარა გაახვია და ისევ გზას გაუდგა. ირგვლივ ლტოლვილნი ირეოდნენ. ყველას თავი გასჭირვებოდა და მათ ყურადღებას არავინ აქცევდა. ბევრი იარეს, და აი, რაღაც დასახლებას მიუახლოვდნენ. პირველსავე კარზე დააკაკუნეს. მოხუცი ქალი გამოვიდა, მარიამი ამ მდგომარეობაში რომ ნახა, ბავშვებიანად შინ შეიყვანა და მაშინვე დახმარება აღმოუჩინა. კიდევ კარგი, იმ მადლიანმა მოხუცმა უშველა, თორემ სამივე ბავშვი დაობლდებოდა.

კეთილმა მოხუცმა ხუთ დღეს შეიკედლა ლტოლვილნი, მერე კი უთხრა, სოფელში უკვე გერმანელები შემოვიდნენ და იქნებ თავს უშველოთო.

მარიამ გოგიშვილი იძულებული იყო თავის შვილებთან ერთად ისევ მინსკში დაბრუნებულიყო. აქ ერთი დაბომბილი სახლის პირველ სართულს შეაფარეს თავი და ასე დაიწყო მათი ტანჯვით აღსავსე ცხოვრება ფაშისტების მიერ ოკუპირებულ მინსკში. აქ მათ არავინ იცნობდა. სამხედრო ქალაქი კი, სადაც ისინი ომამდე ცხოვრობდნენ, მინსკიდან საკმაოდ მოშორებული იყო.

— ბებო, ბებო, — შეეხმიანა მაგიდაზე გაშლილ სურათებთან მჯდომ, ფიქრებში წასულ მარიამს შვილიშვილი მარინე, იმ ირას ქალიშვილი, იქ, მინსკის მახლობლად ტყეში რომ შეეძინა, — დედამ გიჩვენა გოჩას მედლები? —

გოგონამ არც კი აცალა ირას, იქვე კარადიდან გადმოალაგა სპორტის ოსტატის, ველოსპორტში საქართველოს ჩემპიონის გოჩა მუმლაურის მედლები. — აი ეს ახლახან მიიღო, სპარტაკიადის ჩემპიონობის მედალია, — უხსნიდა იგი და ფერად ლენტებზე დაკიდებულ მედლებს წინ ულაგებდა.

მარიამს სახე გაუბრწყინდა. უხაროდა შვილიშვილის წარმატება. თან სინანულით მეუღლის სურათს დასცქეროდა. ვერაფერს შეესწრო, უბედური. ოცდაჩვიდმეტი წლის ვაჟკაცი მტრის ტყვიამ შეიწირა. მისმა ვაჟებმა დიდი ძიების შემდეგ სამხედრო არქივიდან შეტყობინება მიიღეს: მაიორი ივანე სპირიდონის ძე გოგიშვილი, 1907 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანში დაბადებული, 1944 წლის 18 აპრილს გმირულად დაიღუპა საპუნგორაზე, სოფელ შტურმავაიას განაპირას.

ოთახიდან ახალგაზრდები გაიკრიფნენ. გოჩას ამბით გახარებულნი ერთმანეთს შთაბეჭდილებას უზიარებდნენ. მარიამს ტერფი ასტკივდა. ომის წლებში მოყინული ფეხის თითი დიდხანს აწვალებდა, ვერაფერი უშველა, ისევ გადაწყვიტა მოეკვეთა. ახლა ჯერჯერობით სიარული უჭირს, მერე გამივლის, აბა რა იქნებაო, თავს იმხნევებდა სამოცდაათ წელს მიტანებული ქალი, განა ამისთანა ტკივილები ამიტანიაო.

უჭირს ოკუპაციის წლების გახსენება:

რაღა არ გადახდათ თავს. ერთხელ ვიღაც გამყიდველმა დააბეზღა, სამხედრო ოფიცრის ცოლია, აბა, მინსკში საიდან მოხვდაო. ჩვილბავშვიანი ექვს თვეს ჰყავდათ საპყრობილეში, ჯემალი და გივი კი ცალკე ბანაკში წაიყვანეს, რას არ გაუძლო — ცემას, წამებას, მაგრამ მარიამი არ ტყდებოდა. ჩემი მეუღლე რკინიგზის ინჟინერი იყო, მინსკში მივლინებით გამოაგზავნეს და მეც თბილისიდან ომის დაწყების წინა დღეს ჩამოვედიო, თან მოწმეებად ერთი დიდი დაბომბილი სახლის მცხოვრებლებს ასახელებდა, რომლებიც ყველანი დახოცილიყვნენ. როგორც იქნა, დაუჯერეს, რაღაც ცნობა მისცეს და გამოუშვეს, მაშინვე იმ ბანაკს მიაშურა, სადაც მისი შვილები ჰყავდათ გამომწყვდეული. ყმაწვილები შიმშილისაგან ფეხზე ძლივს იდგნენ. დედა რომ დაინახეს, მისცვივდნენ, პური მოგვიტანეო. ისევ მეზობლებმა უშველეს, თავიანთი ლუკმა უწილადეს, საოცრად გულთბილი და გამტანები არიან ბელორუსები.

ერთ დღეს გადაწყვიტა, თავიანთი ყოფილი სამხედრო ქალაქისაკენ წასულიყო, იქნებ ვინმე ნაცნობი ენახა და ჩასაცმელი ან რაიმე საჭმელი ეშოვა. იმ ქალაქის მისადგომებთან შემზარავი სურათი დაინახა: ნახევრად შიშველი, გაძვალტყავებული ტყვე ჯარისკაცი ხარის მაგივრად შეებათ ურემში, რომელიც ადამიანის ჩონჩხით იყო სავსე. ამის დანახვაზე, ქალს გული შეუღონდა. თავი ტყეს შეაფარა. ბედად, ერთი ნაცნობი ქალი შემოხვდა, იქით არ წახვიდე, ჩემი ქმარი მოღალატე აღმოჩნდა, რომ გნახოს, დაგაბეზღებს და ახლავე უკან დაბრუნდიო, თანაც, იმ დალოცვილმა, ბავშვებისათვის ცოტა კარტოფილი გამოატანა. ვინ იცის, რამდენი საშინელების მხილველია მარიამი...

მაგრამ ვერც იმ დიდი სიხარულის დღეს დაივიწყებს, საბჭოთა არმიელები რომ შემოვიდნენ მინსკში, მაშინ მისი ბიჭები, სხვა ბავშვებთან ერთად, პირველ საბჭოთა ტანკზე აძვრნენ.

ომი ისევ მძვინვარებდა, მარიამი თავისი სამი შვილითურთ თბილისისაკენ რომ გამოემგზავრა. აქ კი საშინელი ამბავი დახვდა. 1942 წელს მისი მეუღლე ივანე გოგიშვილი დაჭრილი ჩამოსულა თბილისში, თავისი ცოლშვილი აქ რომ არ დახვედრია, დაღუპულებად ჩაუთვლია, მათი სურათები გაუდიდებია, შავ ჩარჩოში ჩაუსვამს. კარგად არც კი იყო გამოჯანმრთელებული, შურისძიებით გამსჭვალული კვლავ ფრონტს რომ დაუბრუნდა.

კარგი შვილები დაზარდა მარიამმა. ეს არის მისი სიხარული. ვაჟიშვილებმა მონახეს მამამისის ფრონტელი მეგობრები. შეაგროვეს ივანე გოგიშვილის საბრძოლო დამსახურებაზე დაწერილი წიგნები, მასალები, ფოტოსურათები, რომლებსაც სასოებით ინახავენ და თავიანთ შვილებს სამშობლოს სიყვარულს უნერგავენ.

ამ დღეებში ჯემალმა თავისი ორი ვაჟი სავალდებულო სამხედრო სამსახურში გააცილა. ბებიაც იქ იყო, გზა მშვიდობისა; საყვარელ შვილიშვილებსო. დაე, ჩვენი სამშობლოს ცაზე მუდამ მშვიდობიანი მზე დაგვნათოდეს, ნურასოდეს განმეორებულიყოს საძულველი ომი, — ლოცვასავით ამბობდა გულში მრავალჭირგამოვლილი მარიამი.

ლარისა ხუბულური.

# გოლიათები სამშობლოს დასაცავად მიდიან

უფროსი თაობის ადამიანებისათვის 1965 წელი, თითქოს სულ ახლახან იყო... არადა, რა დიდი დრო გასულა! 65-იანები სამშობლოს დასაცავად მიდიან.

მათ შორის, ვინც მალე ჯარისკაცის ფარაჯას ჩაიცვამს, არიან 18 წლის გოლიათი ტყუპები — ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონ ნანეიშვილები. სამივე ყმაწვილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტის სტუდენტია. ამ დღეებში მათ საზაფხულო სესიები დაამთავრეს და მეორე კურსზე გადავიდნენ, მაგრამ... სწავლას მხოლოდ ორი წლის, საბჭოთა არმიის რიგებში თავიანთი მოქალაქეობრივი ვალის მოხდის შემდეგ გააგრძელებენ.

ძმებს რომ გოლიათებს ვუწოდებ, ქათინაური არავის ეგონოს. ტარიელი და ფრიდონი უკვე იყვნენ სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები კლასიკურ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, არაერთხელ ყოფილან საბჭოთა კავშირის პირველობის პრიზიორებიც. მინიჭებული აქვთ სპორტის ოსტატის წოდებები, რაც შეეხება ავთანდილს, ისიც ეწევა თავის ძმებს სპორტის ამ სახეობაში — უკვე ოსტატობის კანდიდატია.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას ტყუპი ძმებისადმი ინტერესი არასოდეს არ შეუნელებია და არც მომავალში მოაკლებს ყურადღებას.

ლ. თორაძე.



სურათზე: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მათემატიკის ლექტორი ი. ქინქლაძე იბარებს გამოცდას ტარიელ, ავთანდილ და ფრიდონ ნანეიშვილებისაგან. ამ გამოცდის შემდეგ ჭაბუკები გახაწევ პუნქტს მიაშურებენ. ვუსურვოთ წარმატებები ცხოვრების ახალ და საინტერესო ეტაპზე.

ჯ. ლომაძის ფოტო.

# მშობელი კუთხე ემზადება

ჩვენი რესპუბლიკა ემზადება რევოლუციის დიდი ტრიბუნის ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 90 წლისთავისათვის.

განსაკუთრებული სამზადისია პოეტის მშობლიურ მაიაკოვსკში. ახლახან აქ გაიმართა რაიონის პარტიული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა იუბილეს შესახვედრად გაწეული მუშაობის შედეგები.

აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ იუბილეს ორგანიზებულად მოწყობის მიზნით პარტიის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა დაამტკიცეს შესასრულებელ სამუშაოთა გეგმა. პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და სასოფლო საბჭოს აღმასკომებს, კოლმეურნეობათა გამგეობებს, საბჭოთა მეურნეობების, საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაევალათ გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველეყოთ დასახული სამუშაოების შესრულება. მართლაც, უკვე გაწეულია დიდი მუშაობა — სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ვლ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, მშვენიერდება, ლამაზდება ქალაქის ქუჩები და მოედნები, მშენებლობის პროცესშია 5 საბავშვო ბაღი, ჰიგიენის სახლი, ლიმონათის ჩამოსასხმელი ქარხანა, საკოლმეურნეო ბაზარი, უფრო კეთილმოეწყობა კურორტი საირმე და მისი შემოგარენი. ერთი სიტყვით, საიუბილეოდ მაიაკოვსკში ბევრი რამ კეთდება.

დ. გედენიძე, „კომუნისტის" საკ. კორ.

# რიგელთა ინტერესი

რიგაში, თეატრის სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის მამია მალაზონიას პერსონალური გამოფენა.

გამოფენა გახსნა ლატვიის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვია არტმანემ. ვერნისაჟზე გამოვიდნენ: ლატვიის მხატვართა კავშირის მდივანი, ლატვიის სსრ სახალხო მხატვარი გუნარ კროლისი, მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი ლ. პუროვა, საქართველოს თეატრალური საზოგადოების შემოქმედებითი განყოფილების გამგე, დრამატურგი გ. ხუხაშვილი. მათ ვრცლად და საინტერესოდ ისაუბრეს ქართველი მხატვრის ნამუშევრებზე.

გამოფენაზე წარმოდგენილია უზადო ოსტატობით შესრულებული 120 გრაფიკული და ფერწერული ნამუშევარი, რამაც ცხოველი ინტერესი გამოიწვია როგორც სპეციალისტების, ასევე ფართო მაყურებელთა შორის. ლატვიის ცენტრალურმა ტელევიზიამ სპეციალური გადაცემა მიუძღვნა ქართველი მხატვრის შემოქმედებას.

მ. ქვარცხავა.

# სამეცნიერო სესია

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითმა სექტორმა დაბა ყაზბეგსა და სოფელ სიონში მოაწყო გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი გამსვლელი სამეცნიერო სესია. ეს არის რიგით XIV გამსვლელი სამეცნიერო სესია, რომელზეც რუსულ-ქართულ თეატრალურ ურთიერთობათა შესახებ მოხსენებები წაიკითხეს პროფესორმა დ. ჯანელიძემ, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატებმა გ. ჯაოშვილმა, ნ. არველაძემ, მ. კალანდარიშვილმა და ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა, ყაზბეგის კულტურის სახლის მეთოდისტმა ე. ხუციშვილმა.

მ. მაჭავარიანი.

# დღის წესრიგშია სპარტაკიადა

საგოლოოდ განაწილდა ადგილები წყალბურთელთა სასპარტაკიადო შეჯიბრში. პირველი ადგილი დაიკავა მოსკოვის ნაკრებმა — 14 ქულა. შემდეგ მოდიან ყაზახეთის (12 ქულა), უზბეკეთის (9), უკრაინის (8), საქართველოს (7), აზერბაიჯანის (3), ლენინგრადის (2) და მოლდავეთის (1 ქულა) გუნდები. ამ მნიშვნელოვანი ასპარეზობისათვის მზადების წინ საქართველოს წყალბურთელთა ნაკრების წინაშე დასმული იყო ამოცანა სულ ცოტა მეხუთე ადგილის დაკავებისა. ჩვენმა ნაკრებმა, რომელიც წინა სპარტაკიადასთან შედარებით არსებითად მთლიანად გადახალისდა და ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ნაკლებად გამოცდილი წყალბურთელებით დაკომპლექტდა, ინტენსიური, ბეჯითი მეცადინეობით შეძლო ამ პროგრამა-მინიმუმის განხორციელება. უთუოდ ამის გამო მიიპყრო ყურადღება საქართველოს წყალბურთელთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა მურთაზ გულედანმა, რომელიც სულ ახლახან სსრ კავშირის ნაკრების ერთ-ერთ ხელმძღვანელად მიიწვიეს. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ მწვრთნელმა და მისმა ახალგაზრდულმა რაზმმა მზადების მეტად ძნელ პერიოდში ყველაზე სწორი და ოპტიმალური გზა აირჩიეს. თვითონ გულედანი და მოთამაშეებიც სპარტაკიადაზე მოპოვებული შედეგით კმაყოფილი არ არიან — მათი აზრით, შეიძლებოდა ბრძოლა საპრიზო ადგილისათვის, რისთვისაც ძალ-ღონე არ დაუშურებიათ, მაგრამ ტურნირის მსვლელობისას მოთამაშეთა მიერ რიგ შემთხვევაში დაშვებულმა შეცდომებმა თუ ზოგჯერ მსაჯთა მცდარმა გადაწყვეტილებამ გარკვეული გავლენა მოახდინა საბოლოო შედეგებზე. გულედანი არ დაეთანხმა ჩვენს აზრს, რომ გუნდის სპორტული ფორმის „პიკი" სპარტაკიადის ფინალურ პერიოდს რატომღაც არ დაემთხვა, მაგრამ ის აზრი კი გაიზიარა, რომ ჩვენი წყალბურთელები დროდადრო დასაწყის შეცდომებს უშვებდნენ და სწორედ ამის გამო უკეთეს შედეგს ვერ შევწვდით. რა კუთხითაც უნდა შევაფასოთ საქართველოს ნაკრების სპარტაკიადაზე გამოსვლა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ წყალბურთელთა კოლექტივი სწორ გზას ადგას და მალე უფრო მტკიცედ შეეძლება საპრიზო ადგილებზე პრეტენზია.

დამთავრდა ფრენბურთელთა ტურნირი იმ ჯგუფებში, რომლებშიც გუნდებს მეცამეტე-მეჩვიდმეტე ადგილები უნდა გაენაწილებინათ. საქართველოს ფრენბურთელმა ქალებმა ამ ეტაპის ბოლო მატჩი გამართეს თურქმენებთან და ტაჯიკებთან. ჩვენმა სპორტსმენებმა ეს ორივე შეხვედრა მოიგეს და საბოლოოდ მეცამეტე ადგილი დაიკავეს. რაც შეეხება ჩვენს ვაჟებს, მათ ბოლო მატჩში თურქმენებთან გამარჯვეს და მეთოთხმეტე ადგილით დაკმაყოფილდნენ. ამრიგად, მეშვიდე. სპარტაკიადასთან შედარებით ჩვენმა ქალებმა ერთი ადგილით უარესი შედეგი აჩვენეს, ვაჟებმა კი წინა სპარტაკიადის მერვე ადგილიდან მეთოთხმეტეზე გადაინაცვლეს. სპორტის ამ სახეობაში შექმნილი მდგომარეობა უთუოდ სავალალოა.

მძლეოსანთა შეჯიბრების პირველ ორ დღეს საქართველოს სპორტსმენთაგან ჩასათვლელი ქულების მოპოვება შეძლეს მხოლოდ მაია აზარაშვილმა და ალექსანდრე გრაბელნიკოვმა. აზარაშვილმა 100 მეტრზე რბენაში მეთოთხმეტე შედეგი აჩვენა და გუნდს 3 ქულა შესძინა. რაც შეეხება გრაბელნიკოვს, იგი ათჭიდში 23-ე იყო და ორი ჩასათვლელი ქულა მოიპოვა. დიდი იმედი ჰქონდათ ალი ალიევისა, რომელიც 400 მეტრზე რბენაში ასპარეზობდა. იგი ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ ამ ეტაპზე უხეიროდ იასპარეზა და ერთი ჩასათვლელი ქულაც კი ვერ მიიღო. დანარჩენ მონაწილეთაგან ზოგმა ან საკვალიფიკაციო ნორმატივი ვერ შეასრულა, ან შეჯიბრება ვერ დაასრულა (მაგალითად, ქალთა შვიდჭიდში ზოგმა იმდენად დაბალი შედეგი აჩვენა, რომ საწყის ეტაპზევე გამოეთიშა შეჯიბრებას).

ასპარეზობაში ჩაებნენ რაპირისტი ქალები და დაშნით მოფარიკავეები. ჩვენი ქალები რაპირისტთა გუნდური შეჯიბრების პირველ ეტაპზე შეხვდნენ უზბეკეთის კოლექტივს. გუნდური გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს ნაკრები ფინალურ ოქტეტში იასპარეზებს. რაც შეეხება პირად პირველობას, ჩვენმა ქალებმა 8 საუკეთესოს შორის ვერ გაიკაფეს გზა და, ცხადია, ვერც ერთი ქულა ვერ შესძინეს გუნდს.

კალათბურთელ ვაჟთა ფინალურ ოქტეტში საქართველოს ნაკრებს ლატვიელებთან მოუწია შეხვედრა. ჩვენმა სპორტსმენებმა პირველი ტაიმი არცთუ ურიგოდ წარმართეს და მატჩის პირველი ნახევარი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს 44:41. შესვენების შემდეგაც ჩვენი გუნდი ერთხანს ფლობდა მინიმალურ უპირატესობას, მაგრამ მეორე ტაიმის დასკვნით ნაწილში ლატვიელებმა იგდეს ხელთ სადავეები და საბოლოოდ გამარჯვება მათ დარჩათ 92:82. ამ პერიოდში, შეიძლება გადამწყვეტი არა, მაგრამ შეხვედრის ერთ-ერთმა არბიტრმა დავიდოვმა რამდენიმე კრიტიკული სიტუაციის არასწორი შეფასებით გარკვეული დაღი დაასვა ორთაბრძოლის მსვლელობას.

რაპირისტმა ქალებმა უკვე დაამთავრეს სასპარტაკიადო შეჯიბრება. პირად პირველობაში საქართველოს წარმომადგენელთაგან საუკეთესო — ქეთევან ერემეიშვილი ოცდამეთერთმეტე ადგილზე გამოვიდა. ცხადია, ეს სანუგეშო შედეგი არ გახლავთ. რაც შეეხება საპრიზო ადგილებს, სამივე რუსეთის ფედერაციის სპორტსმენებს ხვდათ წილად: პირველ ადგილზე გამოვიდა ნ. გილიაზოვა, მეორეზე — ლ. ცაგარაევა, მესამეზე — ო. ვოშჩაკინა.

რაპირისტ ქალთა გუნდურ ასპარეზობაში საქართველოს ნაკრებმა უზბეკებთან გამარჯვებით (9:6) ფინალურ ოქტეტში ერთ-ერთი საუკეთესო ადგილისათვის ბრძოლის უფლება მოიპოვა. ამ ეტაპზე ჩვენმა სპორტსმენებმა ჯერ რუსეთის ფედერაციის კოლექტივთან წააგეს შეხვედრა (0:9), შემდეგ სომხეთის ნაკრებთან (7:9), ბოლოს კი უკვე აზერბაიჯანელებთან მეშვიდე-მერვე ადგილისათვის გამართულ მატჩში დათმეს პოზიციები. ეს შეხვედრა, მართალია, ფრედ (8:8) დამთავრდა, მაგრამ მიყენებული ჩხვლეტების რაოდენობით უპირატესობა აზერბაიჯანელებს მიენიჭათ. მეშვიდე ადგილიც მათ დარჩათ. ჩვენ კი მერვე პოზიციით დავკმაყოფილდით. გუნდურ ასპარეზობაში პირველობა მოიპოვეს რუსეთის ფედერაციის სპორტსმენებმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ მოსკოველები, მესამეზე — უკრაინელები.

გუშინ გვიან ღამით დამთავრდა შეჯიბრება ფარიკაობის ბოლო სახეობაში. ამჯერად დაშნით მოფარიკავეებმა იასპარეზეს. ახლა მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ გაგაცნოთ იმათი ვინაობა, რომლებიც საპრიზო სამეულში ასეთი თანამიმდევრობით განაწილდნენ: 1. ო. ჩურგანოვი (ლენინგრადი). 2. ლ. დუნაევი (მოსკოვი), 3. ვლ. პერცეტოვი (მოსკოვი).

საქართველოს მძლეოსნები კვლავ უღიმღამოდ გამოვიდნენ. 20 ივნისის გამართულ საკვალიფიკაციო სტარტების შემდეგ ჩვენი სპორტსმენების ერთმა ნაწილმა ვერ გაიკაფა გზა ასპარეზობის მომდევნო ეტაპისაკენ. ამ დღეს ლ. მიხალშჩიკმა, რომელმაც წინა დღეს 3000 მეტრზე ასპარეზობის ფინალში გასვლის უფლება მოიპოვა, მეთხუთმეტე ადგილი დაიკავა და გუნდს ორი ჩასათვლელი ქულა შესძინა. დაზუსტდა შედეგები 400-მეტრზე ვაჟთა რბენაში. მას შემდეგ, რაც კონკურსგარეშე მეტოქეთაგან სატურნირო ბადე გაიცხრილა, საქართველოს ნაკრების წარმომადგენელს ალი ალიევს მეთოთხმეტე ადგილი მიეკუთვნა, რამაც კიდევ სამი ქულა მოგვიტანა. ჯერჯერობით, ეს არის და ეს. ახლა მთელი იმედი დამყარებულია იმაზე, თუ როგორ იასპარეზებს საქართველოს ნაკრების წევრი საიდა გუნბა, რომელსაც აქ შუბის მტყორცნელთა შორის, საპრიზო ადგილის ერთ-ერთ პრეტენდენტად თვლიან. გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ ჩასათვლელ ქულებს მოგვცემენ ს. ამისოვი (ჭოკით ხტომა) და დ. კალაძე (110 მ-ზე თარჯრბენი). ეს უკანასკნელი ნახევარფინალში გავიდა.

გრძელდება კალათბურთელ ვაჟთა ფინალური ტურნირი. შეჯიბრების მესამე ტურში საქართველოს ნაკრების მეტოქე იყო ლიტვის ერთობ ძლიერი კოლექტივი, რომელსაც სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტულის ერთ-ერთ მთავარ მაძიებლად თვლიან. მატჩის წინ, ალბათ ვერავინ გაბედავდა ეთქვა, რომ საქართველოს კალათბურთელები ლიტველებს არათუ ტოლს არ დაუდებდნენ, არამედ საბჭოთა კალათბურთის ამჟამინდელ ფავორიტს დაამარცხებდნენ. ასე რომ, საქართველოს ნაკრებმა ლიტველებთან ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა — 98:95 (48:51). ჩვენმა კალათბურთელებმა ამ მატჩით დაამტკიცეს, რომ მათს კოლექტივში არსებობს ძალები, რათა უახლოეს ხანში წარმოჩნდეს ქართული კალათბურთის ის საუკეთესო თვისებები, რომლებიც მათ აგრერიგად მომადლებული ჰქონდათ.

სამი ტურის შემდეგ კალათბურთელ ვაჟთა ფინალურ ოქტეტში 6-6 ქულით (მაქსიმუმი) ლიდერობენ მოსკოველები და უკრაინელები, 5 ქულა დააგროვეს ლიტველებმა, 4-4 ქულით მომდევნო ადგილებს ინაწილებენ საქართველოს, რუსეთის ფედერაციის, ლენინგრადისა და ლატვიის ნაკრები კოლექტივები. ბელორუსებს სამი ქულა ჰქონდათ.

გუშინ, 21 ივნისს, საქართველოს კალათბურთელები ხვდებოდნენ მოსკოველებს. მატჩი გვიან ღამით დამთავრდა.

ჯ. ენუქიძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.
მოსკოვი.

# კიდევ ერთი აღიარება

მოსკოვი. (ტელეფონით „კომუნისტის" სპეც. კორ.). ამ რამდენიმე დღის წინათ საფრანგეთის ქალაქ ტურში დამთავრდა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი. სხვა საკითხების განხილვასთან ერთად აქ მოეწყო ფედერაციის ხელმძღვანელი კომიტეტის არჩევნები. კონგრესში საბჭოთა კავშირის ჩოგბურთის წარმომადგენლის ეგიდით მონაწილეობა მიიღო წარსულში საქვეყნოდ ცნობილმა ჩოგბურთელმა, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, ამჟამად საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ალექსანდრე მეტრეველმა. კონგრესის მონაწილეებმა ალექსანდრე მეტრეველი თავიანთი ხელმძღვანელი კომიტეტის წევრად აირჩიეს, გარდა ამისა, იგი ოლიმპიური ასპარეზობის ქვეკომიტეტის წევრად იქნა შეყვანილი.

ხელმძღვანელ კომიტეტში 11 წევრი უნდა აერჩიათ. დასახელებული იყო 17 კაცი. უფრო ნათელი რომ იყოს, თუ რა ძნელია ასეთ არჩევანში გამარჯვება, აღვნიშნავთ იმასაც, რომ კაპიტალისტური ქვეყნების — ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრალიის თითოეულ წარმომადგენელს 12-12 ხმა აქვს. საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიისას კი მხოლოდ 8—8. ამგვარ რთულ ვითარებაში მეტრეველმა არჩევნებში, რომელიც ფარული კენჭისყრით იმართება, 167 ხმა დააგროვა, ამერიკელმა მხოლოდ ორი ხმით მეტი, იტალიის წარმომადგენელმა კი უფრო ნაკლები — 160 ხმა. მეტრეველის წინადადებით ჩოგბურთის ქვეკომისიის წევრად შეყვანილ იქნა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი, თავის დროზე მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი იან კოდეში.

ს. დევიძე.

# ქასოშვილის წარმატება

ახლახან ქართველმა მოჭადრაკემ ციური ქასოშვილმა ბულგარელ სტეფკა სავოვასთან ერთად გაიმარჯვა პლოვდივში გამართულ ქალთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში.

ორივე მოჭადრაკემ ცამეტი შესაძლებლიდან 9-9 ქულა მოაგროვა და საერთაშორისო ოსტატის ნორმა შეასრულა.

## სუსხიანი სტრიქონები

# ფიცი მწამს ...

თამბაქო რომ ადამიანის ორგანიზმს შხამავს, უდავოა, ამის შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დახმარებით სისტემატურად გვესაუბრებიან მედიცინის სპეციალისტები და სწავლულები.

დიახ, ნიკოტინი შხამია, მაგრამ მის მოყვარულთა რიცხვი ჯერჯერობით დიდია, იმდენად დიდი, რომ მის დასაკმაყოფილებლად ჩვენს ქვეყანაში მოქმედებს სპეციალიზებული ინდუსტრია, რომელიც ათობით დასახელების სიგარეტსა და პაპიროსს უშვებს. თამბაქოს მრეწველობა საკმაოდ განვითარებულია საქართველოშიც.

რას იზამ, სახელმწიფო კატეგორიულად იბრძვის თამბაქოს წევის წინააღმდეგ, მაგრამ, ვიდრე ადამიანები მთლიანად არ შეიგნებენ, რომ ხელოვნურად იმოკლებენ სიცოცხლეს, სიგარეტის გამოშვება არ შეწყდება. ნიკოტინის წინააღმდეგ მიმართული, კარგად ორგანიზებული აგიტაცია და პროპაგანდა, ბოლოს და ბოლოს, უნდა ვივარაუდოთ, მომავალში თავისას იზამს!

დღეს? დღეს რესპუბლიკის თამბაქოს ფაბრიკები მომხმარებლებს თავაზობენ „კოლხეთს", „საქართველოს", „მტკვარს", „მზიურს", „ლუქსს" და სხვა დასახელების სიგარეტებსა და პაპიროსებს. პირდაპირ ვიტყვით, არც ერთი მათგანი ხარისხის მოთხოვნას არ აკმაყოფილებს! შედარებით ახლახან (სულ რამდენიმე წელია) „თბილისთამბაქომ" მუყაოს კოლოფში შეფუთული სიგარეტის — ეგრეთ წოდებული „კოსმოსის" გამოშვება დაიწყო. კოლოფზე დასტამბული წარწერა მეტყველებდა, რომ სიგარეტი მზადდებოდა რჩეული თამბაქოს კომპონენტებისაგან და თავდაპირველად ეს მართლაც ასე იყო. ცოტა ხნის შემდეგ მისი ხარისხი საგრძნობლად გაუარესდა (წარწერაც გაქრა), მაგრამ სხვა სიგარეტებთან შედარებით მოსათმენი იყო და მასზე მოთხოვნა არ შენელებულა. ხალხს უთქვამს: როგორც გიჭირდეს, ისე გილირდესო. ყველაფერი რომ ასე მოსათმენად მაინც დარჩენილიყო, სიგარეტებზე ამდენი ლაპარაკით თავს როგორ შევაწუხებდით.

საქმე მაშინ გაფუჭდა, როცა „თბილისთამბაქოს" საწარმოო გაერთიანება ქაღალდის კოლოფში შეფუთული „კოსმოსის" გამოშვებას შეუდგა. ამ პროდუქციით გამოჭედილია მაღაზიები, რესტორან-სასადილოები, საგაზეთო კიოსკები, იყიდება ქუჩაში, და მას თამბაქოს მოყვარულები, არც მეტი, არც ნაკლები, ნაგავს უწოდებენ. რაც შეეხება მუყაოსკოლოფიან „კოსმოსს", იგი დეფიციტი გახდა. მას მაღაზიაში, პრაქტიკულად, ვერ იშოვი. თუ სადმე გაჩნდა, გამყიდველები დახლის ქვეშიდან 80-90 კაპიკად, ზოგან კი მანეთად გთავაზობენ. „ავიენები" ამბობენ, რესპუბლიკაში ზოგან მუყაოსკოლოფიან სიგარეტს მანეთნახევრადაც ყიდიანო... არადა, ორივე შეფუთვის სიგარეტს „თბილისთამბაქო" უშვებს ერთ ფასად — 70 კაპიკად.

რატომ გახდა მუყაოსა და ქაღალდის კოლოფები ერთი და იგივე მარკის, ერთი და იგივე ფასის პროდუქციის ხარისხის განმსაზღვრელი! ამ კითხვაზე „თბილისთამბაქოს" საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა მ. ბალათურიამ არსებითად ვერაფერი გვიპასუხა. ლამის იყო, საწარმოს მთელი ისტორია გვიამბო, მაგრამ პირდაპირ პასუხს თავი აარიდა. გვითხრა: სიგარეტებს, ჯერ ერთი, სხვადასხვა მანქანები ამზადებენო, და, მეორეც, მე თამბაქოს პროფილის ინჟინერი არა ვარო (?!), „დასახმარებლად" თამბაქოს მთავარ ოსტატს (დეგუსტატორს) რ. ღლონტს მოუხმო. თანაც დასძინა: მაგისთანა დეგუსტატორი დედამიწის ზურგზე არ მოიძებნებაო. საკვირველი კია, თუ თვითონ თამბაქოს საქმეში კომპეტენტური არ არის, სხვას რეკომენდაციას როგორ აძლევს?

რ. ღლონტს იგივე შეკითხვა გავუმეორეთ. გაუკვირდა, თავი ქვას შეუშვირა და ორივე შეფუთვის კოლოფი მოითხოვა. ორი სიგარეტი მოსწია, გაჯავრებული სახით შემოგვხედა (გვაგრძნობინა, სხვის საქმეში რას ეჩრებითო) და დინჯად წარმოთქვა: რა თქმა უნდა ქაღალდის კოლოფის სიგარეტი უკეთესიაო. მისი აზრით, თამბაქოს მოყვარულებს მუყაოს ლამაზი კოლოფი და მისი ბრჭყვიალა გაფორმება იზიდავს. თურმე, ხალხი მუყაოს კოლოფს წამხედურობით ეტანება, ეს ფსიქოლოგიური განწყობის შედეგი ყოფილა. საინტერესოა, როგორ უპასუხებენ თამბაქოს მოყვარულები „დეგუსტატორის" ასეთ გამოწვევას? აი, რომ იტყვიან, ამას ჰქვია, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

სავაჭრო ქსელში რომ ქაღალდის კოლოფიანი სიგარეტის რეალიზაციის მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა, ეს ნუთუ არ იციან მ. ბალათურიამ და რ. ღლონტმა? ძნელი დასაჯერებელია. არ შეიძლება მათ ყურამდე არ მიეღწია მომხმარებელთა საყვედურს. როგორც ჩანს, სიმართლის აღიარება მათ ხელს არ აძლევთ!

თამბაქოს მოყვარულები შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის, სახალხო კონტროლის მუშაკთა შორისაც ბლომად არიან და ისინიც უნდა დაინტერესდნენ „თბილისთამბაქოს" საწარმოო გაერთიანების საქმიანობით.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის" კორ.

რედაქციისაგან: „კომუნისტის" რედაქციაში სიგარეტების ცუდი ხარისხის თაობაზე არაერთხელ და ორჯერ შემოსულა საჩივარი. ერთ-ერთი მომჩივანის — სამამულო ომისა და შრომის ვეტერანის ა. ფოფხაძის წერილმა განსაკუთრებით მიიპყრო ჩვენი ყურადღება. მას აწუხებს და აფიქრებს ზუსტად ის საკითხები, რომლებზედაც ამ წერილშია ლაპარაკი, და კერძოდ აღნიშნავს: „მე ერთი რამ მაინტერესებს, გაზეთ „კომუნისტის" თანამშრომლები ეწევიან თუ არა თამბაქოს? თუ არ ეწევიან, მივესალმები, მაგრამ, თუ ეწევიან, როგორ ურიგდებიან ამას? გული მწყდება, რომ თქვენ ხმას არ იღებთ ამ აღმაშფოთებელ ფაქტზე".

ჩვენ გვინდა მოვახსენოთ პატივცემულ ამხანაგ ა. ფოფხაძეს (წერილის ავტორი სახელს და მამის სახელს არ გვატყობინებს), რომ, სამწუხაროდ, თამბაქოს მოყვარულები ჩვენთანაც არიან. ამიტომ (და განა მარტო ამიტომ) ეს საკითხი ჩვენ უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია. მახალა „ფიცი მწამს" სწორედ ამის დასტურია.

## ტელევიზია

22 ივნისი

### მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.45 — მოსწავლეთა შეხვედრა ცხენოსნობაში ოლიმპიურ ჩემპიონთან ვ. მიცევიჩთან. 10.15 — მხატვრული ფილმი „შემოსევა". 11.40 — მოგზაურთა კლუბი. 12.40 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმები. 16.50 — საბჭოური სახვითი ხელოვნება. „ვ. ა. ფავორსკის სახელოსნოში". 17.50 — ჯამოგვეხმაურეთ, მებუკენო! 18.35 — კონცერტი. 19.00 — მოთხრობები პარტიაზე. რსდმპ მეორე ყრილობის 80 წლისთავისათვის. „გადამწყვეტი ბრძოლა". 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — საბჭოთა არმიის სიმღერები. 21.00 და 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „ტანკოდრომი". 22.00 — „ვრემია". 23.45 — დღეს მსოფლიოში. 24.00 — მერვე სპარტაკიადა. მძლეოსნობა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — დოკუმენტური ფილმები. 10.05 — ესთეტიკური აღზრდა. ქანდაკება. 10.35 — კონცერტი. 11.45 — მხატვრული ფილმი „რიგითი ალექსანდრე მატროსოვი". 13.05 — ესპანური ენა. 13.35 — მხატვრული ტელეფილმი „შავი ზღვის ტალღები". მე-6 და მე-7 სერია. 15.55 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — თეატრალური მემუარები. კ. ს. სტანისლავსკი და ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო. 20.00 — ჩვენი ბაღი. 20.30 — გესაუბრებათ მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე ი. ა. ჟუკოვი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — დოკუმენტური ფილმი. 22.00 — „ვრემია". 22.35 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი.

### თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემი ნაცნობი ირემი". 10.00 — „მოამბე". 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სახლი". 11.00 — მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა". ქართული მხატვრული ფილმი „ბიჭები იასამნის ქუჩიდან". 12.10 — კონცერტი „ვინც გამარჯვების დროშა აღმართა" (განმეორებით). 13.15 — მათემატიკის ტელეკურსი. 16.00 — შევისწავლოთ გერმანული ენა. მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების გამო. 16.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 16.55 — „ვირჩევთ პროფესიას". 17.25 — გადაცემა „ნატყვიარი მანდატი" (განმეორებით). 17.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მხიარული ქალაქი". 18.10 — „მღერიან ომის ვეტერანები". 18.40 — „ხეხილი-83" (გადაცემა I). 19.00 — „გმირობის პოეზია" — ო. ბერგოლცი (განმეორებით). 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — „ცეროდენას ეკრანი". 20.55 — „ხვალ ტელეეკრანზე". 21.00 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ტანკოდრომი". I სერია. პრემიერა (მ.). 22.00 — „ვრემია". 22.45 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ტანკოდრომი". მე-2 სერია. პრემიერა (მ.). 23.45 — ახალი ამბები. 24.00 — საბჭოთა კავშირის ხალხთა მე-8 სპარტაკიადაზე — მძლეოსნობა (მ.).

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი
(აკ. წერეთლის გამზირი №2).
ფეხბურთი
სსრ კავშირის ჩემპიონატი
თბილისის „დინამო" — ერევნის „არარატი"
23 ივნისს — სათადარიგო შემადგენლობა.
დასაწყისი 19 საათზე.
24 ივნისს — ძირითადი შემადგენლობა.
დასაწყისი 19 საათსა და 30 წუთზე.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატი, პარტიული კომიტეტი და პროფკომი, პედიატრიის, სტომატოლოგიისა და სანჰიგიენის ფაკულტეტების ნერვების სნეულებათა კათედრა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე კათედრის ყოფილი გამგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი
სოფიო სპირიდონის ასული ენუქიძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

КОММУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 06375 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20